# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 15 აპრილი 2008 №084 (3308) ფასი 50 თეთრი


## ფედერაციამ გურულს ფრანგები შეუკვეთა



## სადღაც იქ, ევროპაში ოთხშაბათ-ხუთშაბათი სალაპარაკო დღეებია

ოთხი შეხვედრა — ეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტების ამ კვირის სამუშაო გრაფიკია. ალბათ, არც უნდა შეხსენება, რა შეხვედრებზეა ლაპარაკი: ჩვენი ეროვნული გუნდი ახალ მთავარ მწვრთნელს ელის.

ამ კვირის ოთხივე შეხვედრა ევროპაშია დაგეგმილი, ოღონდ სად და ვისთან, ფეხბურთის ფედერაციაში ამის გამხელას ერიდებიან. ევროპა კი ძალიან დიდია და იქ მწვრთნელებიც ბლომად არიან.

ამასობაში კი, ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატთა მეორე სიაც გაჩნდა და მისი შემდგენი გია გურულია. ოღონდ, არც ამ სიაში ჩამონწერილი გვარებია გამხელილი.

ფედერაციაში გვეუბნებიან, ერთი კვირაც გვადროვეთო...

## ქალაქის სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ


„კალა კაპიტალის" დამფუძნებლები: ზურაბ ნოღაიდელი და კახა კალაძე

## კალას სამტრედიული კაპიტალი

დრო იყო, სამტრედიელები საქართველოს ჩემპიონობისთვის იბრძოდნენ, ახლა კი პირველ ლიგაში დასარჩენად უხდებათ ბრძოლა...

გუშინ ასეთი ამბავი შევიტყვეთ: „სამტრედიას" ახალი სეზონიდან კახა კალაძის „კალა კაპიტალი" უპატრონებსო და მართლა ასე თუ მოხდა, ვინძლო, სამტრედიელთა ბედს ძაღლმა არ დაჰყეფოს.

ისიც ითქვა, „კალა კაპიტალისგან" ფეხბურთში ფულის ჩადება ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამას უკავშირდებაო.

მოკლედ, დაველოდოთ, სეზონის დასრულებამდეც რაღა დარჩა...



## მთავარია. ჩავდექი!

### გიორგი ლომაიას საქართველო დასამტკიცებელი აქვს

ინტერვიუ ოლიმპის ახალ მეკარესთან

3

## ახალი სარაგბო გეოგრაფია

### საქართველო ტონგასთან 2.45 ნაბიჯშია



კიდევ ერთი სარაგბო უქმეები ჩათამაშდა და რაგბის საერთაშორისო საბჭომ (IRB) თავისი განახლებული რეიტინგი გამოაქვეყნა.

რეიტინგში მნიშვნელოვანი ცვლილებები და ადი-ჩადი არ მომხდარა, რაკი ბობოლა ექვსი ერი კარგა ხანია, რაც დასრულდა, ხოლო ქვემო ერთა თასზე კვირიდან კვირამდე კინკილა მატჩები იმართება.

თუმცა, ვისთვის კინკილა, ჩვენთვის კი მნიშვნელობით, რუსეთი — საქართველო თამაშზე მეტიც იყო.

საქართველომ ციმბირში მიანგრია რუსეთი და ერთა თასის სეფე-გუნდობასთან ერთად მსოფლიო რეიტინგში 1,23 ქულაც შეიმატა და თუმცა ვერ დაწინაურდა, მე-13 ადგილზე მყოფ ტონგას გვარიანად მიუახლოვდა.

ისიც გავითვალისწინოთ, რომ ევროპის ერთა თასელების გარდა, ახლა ყველა უქმობს და 26 აპრილს ესპანეთთან მოგების მერე, ჩვენებს შანსი აქვთ, ტონგელებსაც გადაუსწრონ. ეს კი საუკეთესო შედეგი იქნება ქართული რაგბის ისტორიაში.

### მსოფლიო რეიტინგი

| | | |
|---|---|---|
| 1(1) | სამხრეთ აფრიკა | 90.81 |
| 2(2) | ახალი ზელანდია | 89.59 |
| 3(3) | არგენტინა | 87.42 |
| 4(4) | ავსტრალია | 84.20 |
| 5(5) | ინგლისი | 83.36 |
| 6(6) | უელსი | 80.12 |
| 7(7) | საფრანგეთი | 79.61 |
| 8(8) | ირლანდია | 77.18 |
| 9(9) | ფიჯი | 75.88 |
| 10(10) | შოტლანდია | 74.92 |
| 11(11) | იტალია | 73.57 |
| 12(12) | სამოა | 71.61 |
| 13(13) | ტონგა | 71.51 |
| 14(14) | **საქართველო** | 69.06 |
| 15(15) | კანადა | 67.25 |
| 16(17) | რუმინეთი | 66.17 |
| 17(16) | რუსეთი | 65.85 |
| 18(18) | იაპონია | 65.35 |
| 19(19) | აშშ | 64.68 |
| 20(20) | ურუგვაი | 63.18 |
| 21(21) | ესპანეთი | 61.01 |
| 22(22) | პორტუგალია | 59.42 |
| 23(23) | სამხრეთ კორეა | 57.99 |
| 24(24) | ჩილე | 57.07 |
| 25(25) | ნამიბია | 56.82 |



ჯერაც უთავკაცო საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის კანდიდატებად ბლომად გვარებია ჩამოწერილი, თუმცა ჯერჯერობით საკითხავია, ვისთან გამართავს მოლაპარაკებას საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია. სფფ-ის ხელმძღვანელობა ევროპაში მიემგზავრება სავარაუდო კანდიდატებთან შესახვედრად. ამის თაობაზე გუშინ ფედერაციის გენერალურ მდივან უჩა უგულავას ვესაუბრეთ...

# ოთხშაბათ-ხუთშაბათი სალაპარაკო დღეებია

## ფედერაცია ევროპას არ აკონკრეტებს

— რა სიახლეა ნაკრების მწვრთნელის დანიშვნასთან დაკავშირებით?

— სიახლე ის არის, რომ დაგეგმილია ორი შეხვედრა ოთხშაბათს და ხუთშაბათს. ორიც, სავარაუდოდ, ამავე კვირაში შედგება.

— სად არის შეხვედრები დაგეგმილი?

— ევროპაში.

— კონკრეტულად ვერ გვეტყვით, რომელ ქვეყანაში?

— კონკრეტულად ვერ გეტყვით. ჩვენ ჩვენი მოთხოვნები გვაქვს, კანდიდატებს — თავიანთი. ეს ყველაფერი უნდა შეჯერდეს ერთმანეთთან...

— შეხვედრებზე ნოდარ ახალკაცი მიემგზავრება?

— ნოდარ ახალკაცი ვიცე-პრეზიდენტებთან ერთად.

— როდის უნდა ველოდოთ მწვრთნელობის კანდიდატების გამოცხადებას?

— მომავალი კვირის დასაწყისში აუცილებლად დავასახელებთ იმ კანდიდატების სიას, რომლებთანაც მოლაპარაკებები გაგრძელდება.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ფრანგი მწვრთნელების კონტურები

## ფედერაციამ გია გურული მოიშველია

საქართველოს ნაკრების ყოფილი მწვრთნელის, ალენ ჟირესის თანაშემწე გია გურული რამდენიმე დღით თბილისში იყო ჩამოსული და ნაკრებში ახალი თავკაცის დანიშვნის საკითხზეც ვესაუბრეთ. გურული საფრანგეთში ცხოვრობს, კარგი კავშირებიც აქვს იქაურ მწვრთნელებთან და საინტერესოა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას მისი კავშირებისაც ხომ არ ეიმედება...



— ფედერაციის ხელმძღვანელებთან ვისაუბრე. მაქვს გარკვეული კავშირები და შემიძლია დახმარების გაწევა. სამ-ოთხ დღეში ფედერაციას მივაწვდი იმ მწვრთნელთა სიას, რომლებიც საქართველოს ნაკრებში მუშაობაზე თანახმანი იქნებიან, ყოველ შემთხვევაში, ვისთანაც მოლაპარაკება შეიძლება — გვითხრა გურულმა, ვისაც გუშინ საფრანგეთში დავუკავშირდით.

— იქნებ დაგვიკონკრეტოთ, რომელ მწვრთნელებთან აპირებთ დაკავშირებას?

— საფრანგეთი სავსეა სახელიანი მწვრთნელებით. მათ შორის, ბევრი ამჟამად თავისუფალია და ვნახოთ...

— საუკეთესო ვარიანტად რომელი ფრანგი მწვრთნელი მიგაჩნიათ ჩვენი ნაკრებისთვის?

— ემე ჟაკე. ცხადია, ეს ხუმრობით... ჯერჯერობით კი, სჯობს, ცოტა მოვიცადოთ.

— როგორ ფიქრობთ, ფედერაცია თქვენს არჩევანს დათანხმდება? ვიცით, რომ სხვა მწვრთნელებთანაც უნდა მოილაპარაკონ...

— ეს აღარ ვიცი. ერთი კია, ფედერაცია ავტორიტეტულ მწვრთნელს ეძებს და მეც სწორედ ასეთებთან ვეცდები დალაპარაკებას.

**ილია ნანობაშვილი**

# საქართველოს მესამე და პირველი

**საქართველოს** ფუტსალის ახალგაზრდულმა ნაკრებმა სლოვენიის ქალაქ ლაშკოში ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ბოლო მატჩი გამართა და ბულგარეთის ახალგაზრდულ ნაკრებს 5:4 სძლია.

ქართველთაგან ხუთმა ფეხბურთელმა გამოიჩინა თავი — გოლები წინწკალაძემ, მუმლაძემ, მაისაიამ, ზუმბაძემ და კობიძემ გაიტანეს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სლოვენია | 3 | 3 | 0 | 0 | 21:3 | 9 |
| ბელგია | 3 | 2 | 0 | 1 | 17:6 | 6 |
| საქართველო | 3 | 1 | 0 | 2 | 8:17 | 3 |
| ბულგარეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 4:24 | 0 |

# სამმა მოიგო, სამმა წააგო

**ყაზახეთის** პრემიერლიგის მე-5 ტურში უსტ-კამენოგორსკის „ვოსტოკი", რომელშიც ძმები ზვიად და გიზო ჯელაძეები თამაშობენ, სტუმრად ტალდიკორგანის „ჟეტისუსთან" 0:1 დამარცხდა.

ქართველებმა შეუცვლელად ითამაშეს და გიზომ 72-ე წუთზე ყვითელი ბარათი მიიღო.

რევაზ ძოძუაშვილის გაწვრთნილმა „შახტიორმა" სტუმრად ალმატის „მეგასპორტთან" 0:1 წააგო. „შახტიორის" შემადგენლობაში ლაშა ნოზაძემ 90 წუთი ითამაშა, ლევან მელქაძე კი განაცხადშიც არ იყო.

ლაშა ჭელიძის ყიზილორდას „ქაისარმა" შინ შიმკენტის „ორდაბასი" 1:0 სძლია. ჭელიძემ ბოლო 13 წუთი ითამაშა შეცვლაზე.

ერთიც: ჩემპიონატს ჯერჯერობით სწორედ „ქაისარი" ლიდერობს.

**ქახა შალამბერიძე**

# ლუჩის გულს ფეხი ეტკინა

**ვლადივოსტოკის** „ლუჩ-ენერგიასა" და რამენსკოეს „სატურნის" (0:0) მატჩის 77-ე წუთზე ლევან გვაზავა დაშავდა და შესაცვლელი შეიქნა.

რამდენად სერიოზულია ქართველი ნახევარმცველის ტრავმა, ჯერჯერობით უცნობია, თუმც ვლადივოსტოკელთა მწვრთნელი ზორან ვულიჩი შეშფოთებულია...

„გვაზავა ჩვენთვის ძვირფასი ფეხბურთელია, ის გუნდის გულია. ჯერჯერობით არ ვიცით, რამდენად სერიოზულია მისი ტრავმა, ყველაფერს ექიმები იტყვიან" — განაცხადა ვულიჩმა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

**geo_geo_fan@hotmail.com**

# ვან გაალი თუ ქეცბაია?

„სარბიელი" და ჩვენი მკითხველი — ამ ურთიერთობის გასამყარებლად რამდენიმე წლის წინ ეს რუბრიკა შემოვიღეთ, სადაც აზრის გამოთქმის საშუალება გეძლევათ. ასეა ახლაც: გუშინ ფოსტაში წერილი აღმოვაჩინეთ და, აი, ისიც...

**Irakli IK:** სალამი! ყოველთვის მომწონდა „სარბიელის" კოსმოპოლიტური მიმოხილვა და რამდენიმე დღის წინანდელ „სარბიელშიც" სწორად იყო მინიშნება: „ბუფონს მწვრთნელიც კარგი ჰყავს და ალიონა სერედოვაც"-ო... ჰოდა, არ ვიცი რატომ, მაგრამ ბუფონისა არ იყოს, „ჩვენი ტოპიც" არ იყო ცუდ დღეში, კარგ თანხასაც იღებდა და... ოღონდ ალიონას ნაცვლად საქართველოს ნაკრები ჰყავდა...

ჰო, ამასწინათ იყო თქვენი გამოკითხვა, ქართველი თუ უცხოელიო, თან ისიც კარგად იყო მინიშნებული, რომ კონკრეტული გვარების გარეშე არის გამოკითხვა ჩატარებულიო... მაშინ მე მაქვს ერთი შეკითხვა და მართლა მაინტერესებს ამაზე პასუხი: ლუის ვან გაალი თუ თემურ ქეცბაია?!

მე ამაზე არ მაქვს ცალსახა პასუხი, თუმცა არ მინდა, საქართველოს ნაკრები ისევ ვიღაც უცხოელის „სერედოვა" გახდეს...

ალბათ მაინც უფრო ქეცბაია!!!

**geo_geo_fan@hotmail.com**

# საქართველოს 19 ჩემპიონატი

## პირველი ლიგა. 22 ტური

### აღმოსავლეთი

ნ.დინ-მერანი 2 0:2 ჩიხურა

კახეთი 3:1 დინამო 2

ვიტ ჯორჯია 2 1:3 ოლიმპიკი

მეშაძრე 1:1 ოლიმპი 2

გაგრა 1:0 ამერი 2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო 2 | 22 | 12 | 6 | 4 | 33:18 | 42 |
| გაგრა | 22 | 12 | 5 | 5 | 44:32 | 41 |
| მეშაქრე | 22 | 11 | 7 | 4 | 31:19 | 40 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 22 | 11 | 5 | 6 | 33:18 | 38 |
| ჩიხურა | 22 | 10 | 6 | 6 | 35:29 | 36 |
| ოლიმპი 2 | 22 | 8 | 7 | 7 | 28:24 | 31 |
| კახეთი | 22 | 8 | 4 | 10 | 33:34 | 28 |
| ამერი 2 | 22 | 7 | 2 | 13 | 30:36 | 23 |
| ოლიმპიკი | 22 | 5 | 4 | 13 | 29:44 | 19 |
| ნ.დინ-მერანი 2 | 22 | 0 | 6 | 16 | 17:59 | 6 |

### დასავლეთი

ხობი 3:0 უნივერსიტეტი

მალაროელი 1:2 სამტრედია

მეშახტე 1:1 მერანი (მ)

ტორპედო 3:0 ფაზისი

ხვალ

ზესტაფონი 2 — კოლხეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მალაროელი | 22 | 18 | 2 | 2 | 46:15 | 56 |
| მეშახტე | 22 | 12 | 2 | 8 | 35:30 | 38 |
| ზესტაფონი 2 | 21 | 11 | 2 | 8 | 33:20 | 35 |
| მერანი (მ) | 22 | 10 | 5 | 7 | 27:19 | 35 |
| ტორპედო | 22 | 9 | 6 | 7 | 32:26 | 33 |
| კოლხეთი | 21 | 8 | 6 | 7 | 26:25 | 30 |
| ხობი | 22 | 8 | 6 | 8 | 30:25 | 30 |
| სამტრედია | 22 | 6 | 4 | 12 | 26:45 | 22 |
| უნივერსიტეტი | 22 | 6 | 3 | 13 | 16:25 | 21 |
| ფაზისი | 22 | 2 | 2 | 18 | 17:58 | 8 |

*„ფაზისი" მოხსნილია გათამაშებიდან*

### ინგლისი

პრემიერლიგა

XXXIV ტური

ჩელსი 1:1 უიგანი

ჩემპიონატი. XLIII ტური

უენსდი 1:1 პლიმუთი

### შვეიცარია

ჩელენჯლიგა. XXV ტური

შაფჰაუზენი 2:0 ბელინცონა

### საფრანგეთი

II დივიზიონი. XXXIII ტური

ნანტი 3:0 ბულონი

### პორტუგალია

სუპერლიგა. XXVI ტური

ბრაგა 0:1 ლეირია

### ნორვეგია

ტიპელიგა. III ტური

ბრანი 1:1 სტრიომსგოდსეტი

### სლოვაკეთი

I ლიგა. XXV ტური

სლოვანი 0:0 ჟილინა

### დანია

სუპერლიგა. XXIV ტური

ვიბორგი 1:3 ჰორსენსი

### შვედეთი

ალსვენსკა. IV ტური

კალმარი 4:0 გაის

სუნდსვალი 4:0 ლიუნგსკილე

ჰამარბი 1:1 აიკ

სუპერეტა. I ტური

იორგრიტე 0:0 ბანკეფლო

ლანდსკრონა 3:1 ენჩიოპინგი

### ჩეხეთი

გამბრინუს ლიგა

XXV ტური

მოსტი 2:4 ბოჰემიანსი

# კალა კაპიტალი ქართულ ფეხბურთში?

## სამტრედიაში ამას ჯერ არ ადასტურებენ



**ქართული** კლუბების უმრავლესობა რომ ფინანსურად ცუდ მდგომარეობაშია, არახალი ამბავია.

რამდენიმე თვის წინ საქართველოს მთავრობამ ფეხბურთის განვითარების პროგრამა გამოამზეურა, სადაც წერია, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის იმედად მყოფი რვა კლუბი კერძო ინვესტორის ხელში გადავა, თუმცა ჯერ საქმე წინ არ წასულა...

გუშინ ერთი სასიამოვნო და საინტერესო ამბავი შევიტყვეთ — მომავალი სეზონიდან „სამტრედიას" მძლავრი კომპანია უსპონსორებსო.

როგორც ითქვა, ეს კომპანია ახლახან დაფუძნებული „კალა კაპიტალია", რომლის ერთ-ერთი მფლობელიც იტალიური „მილანის" ქართველი მცველი კახა კალაძეა.

იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ კალაძე სამტრედიაში დაბადებულ-გაზრდილია, სულაც არ არის გამორიცხული, „კალა კაპიტალმა" სამტრედიულ კლუბს მართლა უპატრონოს.

კალაძესთან დაკავშირება გუშინ ვერ მოვახერხეთ, „სამტრედიას" მთავარმა მწვრთნელმა ბადრი ქორიძემ კი ეს გვითხრა: „სპონსორებთან დაკავშირებით ლაპარაკი კი მიდის, თუმცა ქალაქში „კალა კაპიტალზე" ჯერ არავის არაფერი უთქვამს".

ცნობისთვის: „სამტრედია" პირველ ლიგაში თამაშობს და რეგიონალურ ლიგაში გავარდნის კანდიდატია.

**ნუგზარ ლოლაძე**

# ქეცბაიას კვიპრ-ოთხი



**„ომონიასთან"** 0:0 და მორჩა, თემურ ქეცბაიას გაწვრთნილი „ანართოსისი" კვიპროსის პირველობის დასრულებამდე სამი ტურით ადრე გახდა ჩემპიონი.

ეს ქეცბაიას მესამე ტიტულია მთავარი მწვრთნელის რანგში და ამას ერთი მოთამაშე-მწვრთნელის სტატუსით მოგებული კვიპროსის 2005 წლის ჩემპიონობაც რომ მივუმატოთ, მეოთხე გამოვა. შარშან თემურის „ანართოსისმა" კვიპროსის თასი და სუპერთასი ჩაიხუტა.

ერთიც, ამ სეზონში „ანოს" კვიპროსზე ერთი მატჩიც არ წაუგია.

ქეცბაია ქართველებიდან ყველაზე წარმატებული ლეგიონერი-მწვრთნელია და ყველაზე პერსპექტიულიც. ის საქართველოს ეროვნული ნაკრების თავკაცობის კანდიდატადაც განიხილება და ვნახოთ...

ორმაგი ზღუდეა: ჯერ ერთი, არ ვიცით, რამდენად სურს ფედერაციას მისი ჩამოყვანა და მეორეც, თვითონ თემური კი წამოვა იმ გუნდიდან და იმ ქვეყნიდან, სადაც ხელის გულზე ატარებენ?!

**ილია ნანობაშვილი**

# მთავარია, ჩავდექი!

## ლომაიას საქართველო დასამტკიცებელი აქვს

**საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის 21-ე ტურში რამდენიმე გამორჩეული ამბავი მოხდა. ერთ-ერთი გიორგი ლომაიას საქართველოს ჩემპიონატში დაბრუნება იყო. ახლო წარსულში საქართველოს ეროვნული ნაკრების მეკარემ რუსთავის „ოლიმპის" მაისურა გორის „დილასთან" მატჩში (1:0) მოირგო — იგი მოედანზე 53-ე წუთზე შევიდა. ლომაია ბოლოს უკრაინულ „კარპატიში" ირიცხებოდა, თუმც იქ საქმეები ვერ აეწყო და მას შემდეგ უგუნდოდ იყო. „ოლიმპის" ახალწვეულს გუშინ შევეხმიანეთ...**



ბადრი ქეთილაძის ფოტო

— მთავარია, რომ თამაში დავიწყე. „ოლიმპთან" სეზონის ბოლომდე გავაფორმე კონტრაქტი და შემდეგ ვნახოთ...

— როგორც ამბობენ, მომავალ სეზონში „ოლიმპს" ძლიერი გუნდის გაკეთება სურს და ხომ არ არის შესაძლებელი, აქ დარჩე?

— გამორიცხული არაფერია, ყველაფერს დრო გვიჩვენებს.

— შენი დაბრუნება გორის „დილასთან" მატჩში მოხდა, თუმცა ამ შეხვედრაში საქმე თითქმის არ გქონია...

— ასეა, მაგრამ მაინც დაძაბული თამაში იყო. „დილას" გადარჩენის ბოლო შანსი ჰქონდა და რაც შეეძლო, იბრძოლა.

— წლების განმავლობაში საქართველოს ეროვნული ნაკრების კარს იცავდი და ალბათ ძალიან გსურს, იქ დაბრუნება...

— რა თქმა უნდა. ახლა ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული. მთავარია, ვითამაშო და დავამტკიცო, რომ ამის ღირსი ვარ.

— საქართველოს ნაკრები ამჟამად უმწვრთნელოდაა. გერმანელი კლაუს ტოპმიოლერი დაითხოვეს და, შენი აზრით, ისევ უცხოელი უნდა მოიყვანონ?

— ეს ფეხბურთელების გადასაწყვეტი არ არის. ვინც უნდა მოვიდეს, მის გვერდით უნდა დავდგეთ და საქმე ერთად ვაკეთოთ.

**ნუგზარ ლოლაძე**

# გიორგი ივანიშვილი უფროსებთან გოლაობს

**9 მატჩში** 6 გოლი — ასეთია გიორგი ივანიშვილის მონაგარი „ციურიხის" 21-წლამდელთა გუნდში. შთამბეჭდავი ციფრებია, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მიხეილ ყაველაშვილის გერი წლეულს ხდება 19 წლის და თავისზე უფროსებთან გოლუხვად ირჯება.

ამჯერად „ციურიხU21"-მა „კიუსნაქტს" 5:1 სძლია და პირველი ორი გოლი ივანიშვილმა გაიტანა (მე-15 და 33-ე წუთებზე), რითაც გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი.

ჭაბუკმა ქართველმა ციურიხელთა მეოთხე გოლშიც ლომის წილი დაიდო — საგოლე პასი გააკეთა.



ბადრი ქეთილაძის ფოტო

ქართველმა გულშემატკივარმა ივანიშვილი შარშან ოქტომბერში, საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებში თამაშისას გაიცნო. ქერათმიან შემტევს ნაკრების მაშინდელი მწვრთნელი ჰაინც ტოპმიოლერი სხვადასხვა პოზიციაზე იყენებდა, უფრო ხშირად კი მარჯვენა გარემარბად ათამაშებდა.

ალბათ, შორს არ უნდა იყოს ის დრო, როცა გიორგი ივანიშვილი „ციურიხის" ძირითად გუნდში მოხვდება...

**ილია ნანობაშვილი**

# სასჯელები, სასჯელები...

**საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის სადისციპლინო კომიტეტმა წინა სათამაშო დღეების დამნაშავეებს სასჯელები გამოუწერა. მართალია, თითო თამაშით დასჯილმა ფეხბურთელებმა სასჯელი უკვე (გუშინ-გუშინწინდელ მატჩებში) მოიხადეს, თუმცა მაინც საინტერესო უნდა იყოს, დამნაშავეთა მთლიანი სიის გაცნობა...**

საჩხერის „ჩიხურას" ფეხბურთელი **მირიან მიქაძე** დისკვალიფიცირებულია 2 მატჩით და დაჯარიმდა 150 ლარით.

„სამტრედიას" ფეხბურთელი **ზურაბ ეცადეიშვილი** გამოტოვებს 2 თამაშს და გადაიხდის 50 ლარს.

„ზესტაფონი 2"-ის ფეხბურთელი **ალექსი ბენაშვილი** 2 მატჩს გამოტოვებს და 150 ლარს გადაიხდის.

„ზესტაფონის" ფეხბურთელი **გიორგი ხიდეშელი** გამოტოვებს 1 თამაშს და დაჯარიმდა 50 ლარით.

ბოლნისის „სიონის" ფეხბურთელი **გიორგი კვიტაიშვილი** 2 მატჩს გამოტოვებს და 300 ლარს გადაიხდის.

თბილისის „ამერის" ფეხბურთელი **თენგიზ ჩიკვილაძე** გამოტოვებს 1 შეხვედრას და 50 ლარს გადაიხდის.

„ბორჯომის" ფეხბურთელი **ლევან კაკუბავა** დისკვალიფიცირებულია 2 მატჩით და 300 ლარს გადაიხდის.

„ბორჯომის" ფეხბურთელი **დონალდ დერინგ ჯუსი** გამოტოვებს 1 თამაშს და დაჯარიმდა 100 ლარით.

„ბორჯომის" მწვრთნელი **გიორგი სუხიაშვილი** დისკვალიფიცირებულია 2 თამაშით და დაჯარიმდა 300 ლარით.

მარტვილის „მერანის" ფეხბურთელი **გია ბედოიძე** გამოტოვებს 1 თამაშს და გადაიხდის 50 ლარს.

თბილისის „დინამო 2"-ის ფეხბურთელი **გურამ მინდორაშვილი** გამოტოვებს 1 მატჩს და დაჯარიმდა 50 ლარით.

თბილისის „დინამოს" ფეხბურთელი **მილოშ კრშკო** გამოტოვებს 1 მატჩს და დაჯარიმდა 50 ლარით.

# გულნარ-ნარი გრძელდება

**გულნარა გაბელიას** და ქრისტინა შადობას „ტრაბზონსფორმა" წარმატებით დაიწყო თურქეთის ჩემპიონატის მეორე ჯგუფური ეტაპი — ტრაპიზონელებმა 3:0 დაამარცხეს „ზეითუნბურნუ".

ამ მატჩამდე ოთხი დღით ადრე გულნარამ ვარჯიშზე ტრავმა მიიღო და მისი თამაში თითქმის გამორიცხული იყო, თუმცა ექიმებმა ბოლო წამს შეძლეს ქართველი გოგონას ფეხზე დაყენება და გაბელიამაც მუსრი გაავლო მეტოქეებს — ორი გოლი გაიტანა და ერთი საგოლე პასიც გააკეთა.

სხვათა შორის, მატჩს „ტრაბზონსფორის" პრეზიდენტი საბრი შენერი დაესწრო და ნამატჩევს მოედანზე ჩასულმა მადლობა გადაუხადა „ნარას".

ერთიც: „ზეითუნბურნუ" თურქეთის ბაიან-ლიგაში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია და ამ სეზონში ერთი რეკორდის ავტორიცაა — 33:0 მოუგო ერთ-ერთ მეტოქეს.

**კახა შალამბერიძე**

საქართველოს 19 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა — II წრე. 21 ტური

# პენალტური

**ტურის** მთავარი მატჩი „დინამო“ — „ამერი“ „ეროვნულზე“ გაიმართა.

დინამოელებმა მძიმე ბრძოლაში მოიპოვეს გამარჯვება და ჩემპიონობისკენ მოზრდილი ნაბიჯი გადადგეს. მით უმეტეს, რომ კონკურენტმა „ვიტ ჯორჯიამ“ გორში ცხინვალის „სპარტაკს“ ვერაფერი მოუხერხა და უგოლოდ გაეყარა.

უნდა აღინიშნოს „ამერის“ დაცვის უსუსური თამაში მთელი 90 წუთის განმავლობაში... არადა, თავიდან „ამერი“ დაწინაურდა — ტაიმის მიწურულს გლდანელთა სასარგებლოდ პენალტი დაინიშნა. დარტყმა გივი დიდავამ ითავა, გაბონელმა დიდიე ოვონომ ბურთი მოიგერია, მაგრამ დამატებულზე ისევ გამოცდილი დიდავა გაჩნდა პირველი და თავით გაიტანა.


ტურის გმირი დიდიე ოვონო

დინამოელებმა პენალტითვე შეძლეს გათანაბრება — მეგოლე მიხეილ ხუციშვილმა თავისივე მონადირებული პენალტი გამოიყენა.

ამ მატჩში ბევრი იყო საკამათო, მაგრამ ერთი გამორჩეულად, როცა გრიგოლ დოლიძე მეკარესთან პირისპირ გადიოდა. ამ დროს ოვონო საჯარიმოს გარეთ გამოვარდა და ამერელმა ნახევარმცველმაც მოინდომა, თავზე გადაეგდო მისთვის ბურთი, თუმცა ეს ვერ მოახერხა. ტრიბუნიდან ძნელი იყო გარჩევა, ოვონომ ხელით ითამაშა, თუ თავით, თუმცა ფირზე ნახვისას უფრო თავურით თამაში ჩანს — ყოველ შემთხვევაში, ზუსტად გარჩევა იქაც ძნელია...

შეცვლაზე შესულმა დავით ოდიკაძემ გიორგი ელბაქიძის საჩუქარი შეირგო და გამარჯვებისა გაიტანა — 2:1.

„ზესტაფონმა“ ბორჯომში ადვილად იმარჯვა. იმერულ გუნდში პირველი გოლი შეაგდო გაბონელმა პოლ კესანმა. პირველად ითამაშა ახალ გუნდში ნიკა გელაშვილმა, ვინც ტრავმა ახლახან მოიშუშა.

და კიდევ ერთი გამორჩეული ამბავი: საქართველოდან სკანდალურად წასული ედსონ სანტოსი „ზესტაფონს“ დაუბრუნდა და „ბორჯომთანაც“ ითამაშა.

თბილისის „ლოკომოტივმა“ ბოლნისში „სიონი“ იოლად დაამარცხა. ლევან ცქიტიშვილმა და რატი ალექსიძემ გიორგი ყიფშიძის შეგირდებს საფეხბურთო გაკვეთილი ჩაუტარეს.

უმოტივაციო ახალციხის „მესხეთმა“ თბილისში „მერანი“ მიანგრია. ამ მარცხით თბილისელები გასავარდნ ზონაში ჩარჩნენ.

სადავო პენალტით მოუგო რუსთავის „ოლიმპმა“ თითქმის გავარდნილ გორის „დილას“. „ბათუმმა“ კი ლაშა ქებაძის დუბლი პენალტით ზუგდიდის „მგლები“ გააკრა ბეჭებზე და უმაღლესში დარჩენის იმედი დაიბრუნა.

**ნუქრი ლოლაძე**

### სიმბოლური ნაკრები

- მიხეილ ხუციშვილი — *დინამო*
- რატი ალექსიძე — *ლოკომოტივი*
- ლევან ცქიტიშვილი — *ლოკომოტივი*
- დავით ინასარიძე — *მესხეთი*
- დავით ოდიკაძე — *დინამო*
- გივი დიდავა — *ამერი*
- მურთაზ დაუშვილი — *ზესტაფონი*
- ლაშა მამუკაშვილი — *სპარტაკი*
- შალვა ლონლაძე — *ზესტაფონი*
- შოთა კაშია — *დინამო*
- დიდიე ოვონო — *დინამო*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 21 | 19 | 0 | 2 | 53:12 | 57 |
| ვიტ ჯორჯია | 21 | 17 | 2 | 2 | 40:10 | 53 |
| ზესტაფონი | 21 | 16 | 3 | 2 | 45:11 | 51 |
| ამერი | 21 | 12 | 2 | 7 | 37:23 | 38 |
| ოლიმპი | 21 | 11 | 4 | 6 | 19:15 | 37 |
| მესხეთი | 21 | 9 | 4 | 8 | 23:23 | 31 |
| ბორჯომი | 21 | 8 | 4 | 9 | 25:26 | 28 |
| მგლები | 21 | 8 | 3 | 10 | 21:22 | 27 |
| სიონი | 21 | 6 | 5 | 10 | 22:30 | 23 |
| ლოკომოტივი | 21 | 4 | 5 | 12 | 14:26 | 17 |
| სპარტაკი | 21 | 4 | 5 | 12 | 8:23 | 17 |
| მერანი | 21 | 5 | 1 | 15 | 11:39 | 16 |
| ბათუმი | 21 | 4 | 3 | 14 | 12:37 | 15 |
| დილა | 21 | 1 | 5 | 15 | 8:43 | 8 |

### ბომბარდირები

14 - მ. ხუციშვილი — *დინამო*
12 - გ. მერებაშვილი — *დინამო*
9 - დ. ტატანაშვილი — *ამერი*
ზ. იონანიძე — *ზესტაფონი*
ჟ. ვიეირა — *ზესტაფონი*

### 22-ე ტური

18 აპრილი, პარასკევი
დილა – სიონი
მესხეთი – სპარტაკი
ვიტ ჯორჯია – დინამო
ზესტაფონი – მერანი
19 აპრილი, შაბათი
ამერი – ბათუმი
ლოკომოტივი – ბორჯომი
მგლები – ოლიმპი

ბორჯომი. 13 აპრილი. 16 საათი. ჯ. ზეინკლიშვილი. 1 000 მაყურებელი

## ბორჯომი 0:2 ზესტაფონი

0:1 კვასხვაძე (43), 0:2 კესანი (60)

*იონანიძემ ვერ გაიტანა პენალტი (79, მეკარე)*

**ბორჯომი:** სეფიაშვილი, კირთაძე, ქარქუზაშვილი, თედიაშვილი, გურული, ლომიძე (ბაქრაძე 81), ხითარიშვილი (ხაჩიძე 68), გოგიჩაიშვილი (გოგოლაძე 90), ვ. ბოლქვაძე, გივი ჩხეტიანი, ნასყიდაშვილი
*სათადარიგო:* დათუაშვილი
**მწვრთნელი:** ვლადიმერ ხაჩიძე

**ზესტაფონი:** ჭანტურია, ს. თოდუა, შ. ლონლაძე, ე. საჯაია, აკუასაგა, დაუშვილი, რ. ონიანი, კესანი, ბ. გოცირიძე (იონანიძე 59), ნ. კვასხვაძე (სანტოსი 72), ბიტოო (გელაშვილი 89)
*სათადარიგონი:* რ. კვასხვაძე; გელაჭეიშვილი, საცერაძე, ჟონატასი
**მწვრთნელი:** თემურ მახარაძე

**გაფრთხილება:** ბოლქვაძე (22), საჯაია (67), თედიაშვილი (79), აკუასაგა (86)

**მსაჯები:** ა. კრიჭაშვილი, ზ. ხუციშვილი, ბ. ჭიჭინაძე, ხ. გაგნიძე

თბილისი. 12 აპრილი. 16 საათი. მერანი. 200 მაყურებელი

## მერანი 0:4 მესხეთი

0:1 ინასარიძე (10), 0:2 კიკნაძე (23), 0:3 ინასარიძე (42პ), 0:4 მუშკუდიანი (85)

**მერანი:** თევდორაძე, ლოლაძე, გიგაური, გ. თავბერიძე, სარალიძე, ჯანგიძე, ბესარაშვილი (ქოქიაშვილი 35), კობერიძე, ბაკურაძე (ფირანიშვილი 42), ვ. გოჩაშვილი, ნ. არველაძე
*სათადარიგონი:* დგებუაძე; იაგო დეისაძე, აბშილავა, ქემაშვილი
**მწვრთნელი:** დავით ეჯიბიშვილი

**მესხეთი:** სომხიშვილი, თ. ლონლაძე, ქობესაშვილი, ლ. მერებაშვილი, რაქვიაშვილი, ლეკიშვილი, კ. ხანიშვილი, კოშკაძე (თელიაშვილი 70), გვირჯიშვილი, ინასარიძე (თაყაძე 60), კიკნაძე (მუშკუდიანი 60)
*სათადარიგონი:* ძამუნაშვილი; სუდაძე, გ. ნადირაშვილი, სამადაშვილი
**მწვრთნელი:** კობა თედიაშვილი

**გაფრთხილება:** ლოლაძე (16), ჯანგიძე (26), ლეკიშვილი (44)

**მსაჯები:** ო. ხეცაძე, ლ. მიქელაძე, თ. ხუჭუა, ლ. სილაგავა

რუსთავი. 13 აპრილი. 16 საათი. ფოლადი. 500 მაყურებელი

## ოლიმპი 1:0 დილა

1:0 მახვილაძე (61პ)

**ოლიმპი:** შეყრილაძე (გ. ლომაია 53), სებისკვერაძე, სილაგაძე, მახვილაძე, ორბელაძე, ხუბუა, დ. დევდარიანი (იმედაძე 58), კახელიშვილი, გეწაძე, ომელიანოვი, სტეფანიშვილი (ჯოჯუა 46)
*სათადარიგონი:* გაბედავა, გ. რეხვიაშვილი, მგელაძე
**მწვრთნელი:** ხვიჩა ქასრაშვილი

**დილა:** ცერცვაძე, ტლაშაძე, გვეტაძე, ზ. ლაცაბიძე, ბალაშვილი, ბალიაშვილი, აბრამიშვილი (გაგნიძე 64), ი. ლომაძე, იჩქითი, გ. ვარდოსანიძე, სულთანიშვილი (ჩერქეზიშვილი 29)
*სათადარიგონი:* თ. ილურიძე, გიორგობიანი, რატიანი, გობეჯიშვილი
**მწვრთნელი:** დავით მდივანი

**გაფრთხილება:** ტლაშაძე (36), კახელიშვილი (89)

**მსაჯები:** ვ. ელისაბედაშვილი, ზ. მენთეშაშვილი, კ. ტეფნაძე, ა. ნონიკაშვილი

გორი. 12 აპრილი. 16 საათი. ქართლი. 50 მაყურებელი

## სპარტაკი 0:0 ვიტ ჯორჯია

**სპარტაკი:** კოდალაევი, ბახტურიძე, ხაჭიპერაძე, ქორიძე, მამუკაშვილი, ხიდაშელი (მ. ლონლაძე 72), თარხნიშვილი, კუპრეიშვილი, ტყეშელაშვილი, გოგოხია, ვ. კვარაცხელია (ხიზანიშვილი 85)
*სათადარიგონი:* ქვილითაია, მედოევი, თექთუმანიძე, დათუნაშვილი, ქავთარაძე
**მწვრთნელი:** კობა ჟორჟიკაშვილი

**ვიტ ჯორჯია:** ბედიაშვილი, პ. დათუნაიშვილი, ა. კვახაძე, დ. ლომაია, ბეჭვაია, რაზმაძე, გ. დათუნაიშვილი (ჯაფარიძე 50), კლიმიაშვილი, გ. მელქაძე, სახოკია (ლუჭაშვილი 73), ბერიაშვილი (ლიპარტია 59)
*სათადარიგონი:* მიქაბერიძე, ყველაშვილი, პირველი, ინჯგია
**მწვრთნელი:** ნესტორ მუმლაძე

**გაფრთხილება:** რაზმაძე (67), ხიზანიშვილი (90)

**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი, ო. მოლოდინაშვილი, გ. ყრუაშვილი, პ. დოგრაშვილი

ბოლნისი. 12 აპრილი. 16 საათი. თ. სტეფანია. 500 მაყურებელი

## სიონი 0:3 ლოკომოტივი

0:1 ალექსიძე (12), 0:2 ცქიტიშვილი (47), 0:3 დარასელია (57)

**სიონი:** ბობლიაშვილი, ქურასბედიანი, ფრიდოლინი, სვანიძე, შავგულიძე, გ. ოქროპირიძე, ლ. ბაჯელიძე, სანიკიძე (ზ. ავალიანი 69), ბ. ნოზაძე (გ. ნუგ. ჭელიძე 46), შ. ჯიქია (ნაკანი 60), ჩასემი
*სათადარიგონი:* გ. იაშვილი, ზ. ჭელიძე, ლ. ვაშაკიძე, კეტაშვილი
**მწვრთნელი:** გიორგი ყიფშიძე

**ლოკომოტივი:** მ. ალავიძე, დ. ფოფხაძე, გუშარაშვილი, ფარულავა, ქუხილავა, ზ. ჩხეტიანი, რ. წულაძე (კაჭახიძე 67), ცქიტიშვილი, ი. სამხარაძე (ბუდალაშვილი 82), ალექსიძე, ვ. დარასელია (ს. გილაური 80)
*სათადარიგონი:* მიგინეიშვილი, გ. კვახაძე, ლ. ჩაგელიშვილი, ქუცურუა
**მწვრთნელი:** გიორგი კიკნაძე

**გაფრთხილება:** ფარულავა (50), შავგულიძე (70)

**მსაჯები:** დ. ხარიტონაშვილი, გ. ჩიგოგიძე, ზ. ჯვარიძე, თ. გვანცელაძე

**დამკვირვებელი:** ო. გუნთაძე; **დირექტორი:** შ. ხინჩაგაშვილი

თბილისი. 13 აპრილი. 16 საათი. ეროვნული. 1 000 მაყურებელი

## დინამო 2:1 ამერი

0:1 დიდავა (45), 1:1 ხუციშვილი (51პ), 2:1 ოდიკაძე (78)

*დიდავამ ვერ გაიტანა პენალტი (45, მეკარე)*

**დინამო:** ოვონო, შ. კაშია, ზელიჩი, გ. კაშია, გველესიანი, სპასოევიჩი (ოდიკაძე 61), ხმალაძე, დილმელაშვილი, გ. მერებაშვილი (ფირცხალავა 90), მ. ხუციშვილი (აკირემი 82), ვაწაძე
*სათადარიგონი:* ლორია, თომაშვილი, დობეში, ნერგაძე
**მწვრთნელი:** დუშან უჰრინი

**ამერი:** ლ. ნადირაშვილი, დავითნიძე, მემარნიშვილი, კაკაშვილი, ელბაქიძე (ჩიმაკაძე 88), დობროვოლსკი, დიდავა, დოლიძე, დეკანოსიძე, დავითაშვილი (შალამბერიძე 78), რ. გოცირიძე (ტატანაშვილი 62)
*სათადარიგონი:* ქვაჩახია, დ. მჭედლიშვილი, ა. ალავიძე, მესხი
**მწვრთნელი:** გიორგი ჩიხრაძე

**გაფრთხილება:** გველესიანი (42), გოცირიძე (55), ხუციშვილი (64)

**მსაჯები:** გ. ვადაჭკორია, მ. ელიკაშვილი, ზ. ფიფია, ვ. გუმბერიძე

**დამკვირვებელი:** მ. მალაღურაძე; **დირექტორი:** თ. კუპატაძე

ბათუმი. 12 აპრილი. 16 საათი. ადელი. 150 მაყურებელი

## ბათუმი 2:0 მგლები

1:0, 2:0 ქებაძე (21პ, 50პ)

*ცანავამ ვერ გაიტანა პენალტი (90, მეკარე)*

**ბათუმი:** თოთლაძე, ვ. კუნჭულია, კ. მახარაძე, თედორაძე, მაკარიანი, გაგა ჩხეტიანი (ტულუში 74), ცანავა, ქებაძე, კაკალაძე (ოქრუაშვილი 61), ბაბუნაშვილი, გ. ნოდ ჭელიძე (ზ. ქუთათელაძე 66)
*სათადარიგონი:* სტურუა, გალოგრე, ჩელებაძე, ბეჟანიძე
**მწვრთნელი:** ავთანდილ კუნჭულია

**მგლები:** ქალდანი, ზ. ექონია, მაჭავარიანი, ჟვანია, კაკაბაძე, დ. ქირია, ვართაგავა, წურწუმია (გ. ქირია 62), კრასოვსკი (ზ. ჯანაშია 64), ჭკადუა (კუტალია 57), ხოხონიშვილი
*სათადარიგონი:* ჭითანავა, ხუხია, გ. ექონია, ქომეთიანი
**მწვრთნელი:** ბესიკ შეროზია

**გაფრთხილება:** ცანავა (7), ჟვანია (44)

**მსაჯები:** მ. ურუშაძე, ლ. თოდრია, კ. გუდურაშვილი, კ. ჭაჭუა

# ქართველები უცხოეთში



გიორგი სეთურიძეს (შუაში) გერმანული დებიუტი ელირსა

## გოლი სად არის, გოლი?!
### ბევრი უქმობა, ცოტა ხეირი

**მარცხიანი** გამოდგა განვლილი შაბათ-კვირა გერმანიაში, იტალიასა და ინგლისში მოთამაშე ქართველი ლეგიონერებისთვის. გრანდ-ჩემპიონატებიდან მხოლოდ **შოთა არველაძის** „ლევანტემ“ გაიხარა, რომელმაც „ბეტისს“ სტუმრად 1:0 სძლია, მაგრამ, სავარაუდოდ, მაინც დაემშვიდობება პრიმერადივიზიონს. 34 წლის არველაძემ, ვისაც ერთი-ორი თვეღა დარჩენია კარიერის დასასრულამდე, ბოლო 4 წუთი ითამაშა.

გერმანულ ბუნდესლიგაში „შალკემ“ ტრავმიანი **ლევან კობიაშვილის** გარეშე 1:5 დათმო „ვერდერთან“ და მესამე ადგილზე დაქვეითდა, ხოლო **ალექსანდრე იაშვილის** „კარლსრუემ“ შინ „ჰანზასთან“ 1:2 წააგო და მეცხრეზეა.

იაშვილმა 62 წუთი ითამაშა.

მეორე ბუნდესლიგაში თამაშს დანატრებული **ოთარ ხიზანეიშვილის** გარეშე იმარჯვა „ფრაიბურგმა“ — „დრაიზამშტადიონის“ ბინადარმა **გიორგი სეთურიძე-ილია კანდელაკი-გიორგი ონიანის** „კარლ ცაისი“ 2:0 დაამარცხა და მეოთხე ადგილზე ავიდა.

ყველაზე გამოსარჩევი: სეთურიძემ პირველი ოფიციალური მატჩი ჩაატარა „კარლ ცაისში“, ძირითადში გახლდათ და 56-ე წუთზე შეცვალეს. ონიანი კვლავ სათადარიგოებში დარჩა, კანდელაკმა კი სრულად იბურთავა.

**ზურაბ ხიზანიშვილს** „ლივერპულთან“ თამაშის საშუალება არ მიეცა, მისმა „ბლექბერნმა“ კი 1:3 წააგო და უეფას თასზე გასვლის თეორიული შანსიღა შერჩა.

**კახა კალაძე** დისკვალიფიცირებული იყო, „მილანმა“ კი ფილიპო ინძაგის დუბლი ვერ შეიშნო, 2:3 წააგო „იუვენტუსთან“ და ისევ ოთხი ქულითაა დაშორებული ჩემპიონთა ლიგაში გასასვლელი მეოთხე ადგილიდან.

კიდევ ერთი უთამაშებელი ქართველი — **სანდრო იაშვილი**. „თუნმა“ შარშან ზაფხულს დიდი იმედით კი იყიდა ჩვენიანი, მაგრამ... სანდროს „თუნმა“ „ქსამაქსს“ 2:1 მოუგო, თუმც კვლავ ბოლო ადგილზეა.

ავსტრიაში **გიორგი შაშიაშვილმა** 90 წუთი ითამაშა „ტიროლთან“ (2:0), „შტურმი“ კი მეხუთეზეა და ძნელად, რომ უეფას თასის საგზურს ეწიოს. სამაგიეროდ, მაქსბუნდესლიგაში გადასვლის შანსი აქვს **მირზა ბჟალავას** „აუსტრია-ლუშტენაუს“, რომელმაც „შვანენშტადთან“ 2:0 მოგებით ერთ ქულამდე დაიყვანა ლიდერთან ჩამორჩენა. ბჟალავამ საგოლე პასი გააკეთა, გაფრთხილებაც მიიღო და ბოლოსწინა წუთზე შეცვალეს.

**გიორგი განუგრავამ** მცირე ტრავმის შემდეგ „ბოლესლავის“ მეორე გუნდში ითამაშა და მისიანებმა „სპარტასთან“ 0:2 წააგეს. „ბოლესლავის“ ძირითადმა კი 3:1 სძლია „ბანიკს“.

რუსეთი. აი, სად მოიგეს ქართველთა გუნდებმა... „რუბინს“ ამჯერად „ხიმკი“ შემოენადგურა (4:0), ყაზანელთა ქართველებიდან კი მხოლოდ **დავით კვირკველიამ** ითამაშა: **ლაშა სალუქვაძე** სათადარიგო იყო, **ნუკრი რევიშვილს** კი ტრავმა აქვს.

**გოგიტა გოგუა-ალეკო ამისულაშვილ-დავით სირაძის** „ნალჩიკმა“ კი სენსაცია გამოაცხო და მოსკოვში ცსკა-ს 1:0 აჯობა. გოგუამ და ამისულაშვილმა სრულად ითამაშეს (ყვითლები მიიღეს), სირაძე კი ბოლოსკენ შეცვალეს. დავითს გატანაც შეეძლო, მაგრამ არმიელთა მეკარემ რთული ბურთი გამოუძრო.

მოსკოვის „ლოკომოტივმა“ „ტერეკს“ 2:0 სძლია, ოღონდ ჩვენიანებიდან მხოლოდ **დავით მუჯირმა** ითამაშა და ისიც 6 წუთით. **მალხაზ ასათიანი** არ გამოჩენილა.

უკრაინაში საბოლოოდ დაისამარა საჩემპიონო ამბიცია „დნიპრომ“, რომელმაც შინ „შახტართან“ 1:3 წააგო. **სანდრო კობახიძემ** სათადარიგოთა სკამიდან უყურა თამაშს, **ჯაბა კანკავა** კი ძირითადში გახლდათ და მეორე ტაიმის დასაწყისში შეცვალეს.

**ლადო ბურდული** და **გიორგი ციმაკურიძე** კარგახნიანი შესვენების შემდეგ გამოჩნდნენ „ზარიას“ ძირითადში — მოიგეს კიდეც, „ზარიამ“ 1:0 აჯობა „ხარკოვს“. ბურდულმა 80 წუთი გაატარა მინდორზე, ციმაკურიძეს კი ერთი წუთი აკმარეს.

სხვა „უკრაინელ ქართველებს“ არ უთამაშიათ...

ლიტვაში „კაუნასი“ იშვიათად აგებს და ეს იშვიათობა შაბათს მოხდა — „ეკრანასთან“ 0:1. **ნუკრი მანჩხავასა** და **გივი კვარაცხელიას** მიკროტრავმების გამო არ უთამაშიათ, **აკაკი ხუბუტიამ** კი შეუცვლელად იბურთავა და მატჩის დასაწყისში თავურით ძელს გაარტყა ბურთი. საინტერესოა, რომ ხუბუტია საყრდენ ნახევარმცველად ათამაშეს.

ლატვიაში ტრავმირებული **ზურაბ მენთეშაშვილის** „ვენტსპილსი“ ლიდერობს, აი, „სკონტომ“ კი ბოლო ორ ტურში მხოლოდ ქულა აიღო. რიგელებმა 1:1 ითამაშეს „დაუგავასთან“ — **ზაალ ელიავა** არ გამოჩენილა, **დავით გამეზარდაშვილი** და **ვლადიმერ დვალიშვილი** კი ძირითადში იყვნენ და მატჩის მიწურულს ორივე შეცვალეს.

**ილია ნანობაშვილი**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | ს | იუვენტუსი 2:3 | 0 | დისკვალიფიცირებული | 25 | 0 | 5 |
| ლევან მჭედლიძე | ემპოლი | შ | პარმა 1:1 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 19 |
| **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ბლექბერნი | ს | ლივერპული 1:3 | 0 | განაცხადში არ იყო | 17 | 0 | 9 |
| **ავსტრია. მაქსბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი შაშიაშვილი | შტურმი | შ | ტიროლი 2:0 | 90 | | 30 | 0 | 5 |
| **ავსტრია. ერსტელიგა** | | | | | | | | |
| მირზა ბჟალავა | ლუშტენაუ | ს | შვანენშტადტი 2:0 | 89 | გააფრთხილეს, შეცვალეს | 7 | 0 | 2 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | ს | ვერდერი 1:5 | 0 | ტრავმირებულია | 11 | 1 | 3 |
| ალექსანდრე იაშვილი | კარლსრუე | შ | ჰანზა 1:2 | 62 | შეცვალეს | 24 | 0 | 9 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| მათე ღვინიანიძე | მიუნხენ 1860 | ს | ოფენბახი 0:2 | 0 | ტრავმირებულია | 13 | 0 | 11 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | ფრაიბურგი | შ | კარლ ცაისი 2:0 | 0 | განაცხადში არ იყო | 2 | 0 | 5 |
| გიორგი ონიანი | კარლ ცაისი | ს | ფრაიბურგი 0:2 | 0 | სათადარიგო | 11 | 0 | 17 |
| ილია კანდელაკი | კარლ ცაისი | ს | ფრაიბურგი 0:2 | 90 | | 14 | 0 | 17 |
| გიორგი სეთურიძე | კარლ ცაისი | ს | ფრაიბურგი 0:2 | 56 | შეცვალეს | 1 | 0 | 17 |
| **ესპანეთი. პრიმერადივიზიონი** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | ლევანტე | ს | ბეტისი 1:0 | 8 | შეცვლაზე ითამაშა | 3 | 0 | 20 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი | შ | ტერეკი 2:0 | 0 | განაცხადში არ იყო | 0 | 0 | 3 |
| დავით მუჯირი | ლოკომოტივი | შ | ტერეკი 2:0 | 4 | შეცვლაზე ითამაშა | 2 | 0 | 3 |
| დავით კვირკველია | რუბინი | ს | ხიმკი 4:0 | 90 | | 5 | 1 | 1 |
| ლაშა სალუქვაძე | რუბინი | ს | ხიმკი 4:0 | 0 | სათადარიგო | 3 | 0 | 1 |
| ნუკრი რევიშვილი | რუბინი | ს | ხიმკი 4:0 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 1 |
| გოგიტა გოგუა | ნალჩიკი | ს | ცსკა 1:0 | 90 | გააფრთხილეს | 5 | 0 | 8 |
| ალექსანდრე ამისულაშვილი | ნალჩიკი | ს | ცსკა 1:0 | 90 | გააფრთხილეს | 5 | 0 | 8 |
| დავით სირაძე | ნალჩიკი | ს | ცსკა 1:0 | 82 | შეცვალეს | 5 | 0 | 8 |
| ლევან გვაზავა | ლუჩ-ენერგია | შ | სატურნი 0:0 | 77 | შეცვალეს | 5 | 1 | 12 |
| **რუსეთი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გედევან დარასელია | ტორპედო | შ | სიბირი 1:4 | 0 | | 0 | 0 | 16 |
| ვალერი აბრამიძე | ანჟი | ს | ყუბანი 0:4 | 90 | გააფრთხილეს | 4 | 1 | 7 |
| გიორგი ნავალოვსკი | ანჟი | ს | ყუბანი 0:4 | 59 | გააძევეს | 4 | 0 | 7 |
| მიხეილ აშვეთია | ანჟი | ს | ყუბანი 0:4 | 0 | | 3 | 1 | 7 |
| ზურაბ არზიანი | ანჟი | ს | ყუბანი 0:4 | 9 | შეცვლაზე ითამაშა | 1 | 0 | 7 |
| რევაზ ჯიქია | ანჟი | ს | ყუბანი 0:4 | 36 | შეცვლაზე ითამაშა | 1 | 0 | 7 |
| გოჩა ხოჯავა | ანჟი | ს | ყუბანი 0:4 | 81 | შეცვალეს | 4 | 0 | 7 |
| რევაზ ბარაბაძე | ანჟი | ს | ყუბანი 0:4 | 0 | | 2 | 0 | 7 |
| პაატა ჯინჭარაძე | ბრიანსკი | შ | ნოსტა 1:4 | 90 | | 2 | 0 | 12 |
| გია გრიგალავა | სკა | ს | ზვეზდა 0:0 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 15 |
| **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| სანდრო იაშვილი | თუნი | შ | ქსამაქსი 2:1 | 0 | სათადარიგო | 20 | 1 | 10 |
| **ჩეხეთი. გამბრინუსლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი განუგრავა | ბოლესლავი | შ | ბანიკი 3:1 | 0 | | 2 | 0 | 7 |
| **სლოვაკეთი. კორგონ ლიგა** | | | | | | | | |
| ირაკლი ლილუაშვილი | ნიტრა | შ | ტრნავა 0:0 | 10 | შეცვლაზე ითამაშა | 2 | 0 | 3 |
| **დანია. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი ფოფხაძე | ვიბორგი | შ | ჰორსენსი 1:3 | 0 | სათადარიგო | 7 | 0 | 11 |
| **უკრაინა. ვიშა ლიგა** | | | | | | | | |
| ოთარ მარცვალაძე | დინამო | შ | ტავრია 3:0 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 1 |
| დავით იმედაშვილი | დინამო | შ | ტავრია 3:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| კახა ალადაშვილი | ხარკოვი | შ | ზარია 0:1 | 0 | | 6 | 0 | 14 |
| ლადო ბურდული | ზარია | ს | ხარკოვი 1:0 | 80 | შეცვალეს | 18 | 0 | 13 |
| გიორგი ციმაკურიძე | ზარია | ს | ხარკოვი 1:0 | 1 | შეცვლაზე ითამაშა | 1 | 0 | 13 |
| ლაშა ჯაკობია | ვორსკლა | ს | კარპატი 2:1 | 0 | | 0 | 0 | 11 |
| ჯაბა კანკავა | დნიპრო | შ | შახტარი 1:3 | 56 | შეცვალეს | 19 | 3 | 4 |
| სანდრო კობახიძე | დნიპრო | შ | შახტარი 1:3 | 0 | სათადარიგო | 1 | 0 | 4 |
| გიორგი დემეტრაძე | არსენალი | ს | ჩერნომორეცი 1:0 | 0 | | 18 | 3 | 8 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

# მაესტრო, წავედით!

## მირკო სლომკა გზაზე მოხსნეს



**სეზონის** ბოლომდე „შალკეს“ გერმანელი მიხაელ ბიუსკენსი და ჰოლანდიელი იური მიულდერი უთავკაცებენ.

ეს ამბავი კლუბის გენერალურმა მენეჯერმა ანდრეას მიულერმა დაადასტურა მას შემდეგ, რაც შაბათს „ვერდერთან“ 1:5 წაგების გამო 40 წლის მირკო სლომკა მოხსნეს და მის გზას ასისტენტი ნესტორ ელ მაესტროც გაუყენეს.

თითქმის ორი თვეა, სლომკას შესაძლო გათავისუფლებაზე საუბრობდნენ და ასეც მოხდა — სეზონის ჩამთავრება არ აცალეს.

„ვერდერთან“ მატჩის დასრულებისთანავე მიულერი მწვრთნელს გამოესარჩლა და თქვა, რომ სამშაბათს „კოტბუსთან“ გუნდს ისევ მირკო სლომკა გაიყვანსო, მაგრამ რამდენიმე საათის შემდეგ სიტყვა გატეხა და „შალკეს“ თავკაცი დაითხოვა.

„ბრემენიდან გელზენკირხენში დაბრუნებისას გზაში ცივი გონებით გავაანალიზე ვითარება და სლომკას მოხსნა გადვწყვიტე. კლუბის პრეზიდენტს მოვახსენე და ისიც დამეთანხმა. ეს იდეა უკვე რამდენიმე კვირის განმავლობაში არ მასვენებდა.

ამ სეზონის განმავლობაში ვხედავდი, რომ გუნდი ველარ ვითარდებოდა და ახალი მწვრთნელი სჭირდებოდა. ჩვენი მიზანია მეორე-მესამე ადგლის დაკავება, რათა ისევ ვითამაშოთ ჩემპიონთა ლიგაში. ტყუილია, თითქოს ფეხბურთელები სლომკას აუჯანყდნენ და ამიტომ გავუშვით. ეს გადაწყვეტილება პირადად მე მივილე, ისე კი ვგრძნობდი, რომ ერთი-ორი კაცი .სათადარიგოობით უკმაყოფილო იყო და მირკო სლომკასთან ამის გამო ურთიერთობა წაუხდათ“.

მიხაელ ბიუსკენსი 40 წლისაა, მიულდერი კი 39-ის.

ორივე „შალკეს“ ყოფილი ფეხბურთელია და 1997-ში უეფას თასი მოიგო. მიულდერმა კარიერა 2002 წელს დაასრულა და ამ სეზონში „ტვენტეში“ სამწვრთნელო პრაქტიკას გადიოდა, ხოლო ბიუსკენსი, რომელმაც თამაშს თავი 2005-ში დაანება, „შალკეს“ მეორე გუნდს თავკაცობდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ინტერი თუ მილანი?

## რონალდინიოს ბედი სან სიროა

**თითქმის** გადაწყვეტილია, რომ მომავალი სეზონიდან რონალდინიოს „სან სიროზე“ ვიხილავთ, მაგრამ თუ რომელი მილანური კლუბის მაისურით, ეს ჯერ კიდევ საკითხავია...

ახლახან „მილანის“ ხელმძღვანელობამ საჯაროდ განაცხადა, ფეხბურთელთან სიტყვიერი შეთანხმება უკვე მიღწეულია და „ბარსელონასთან“ დაგვრჩა საქმე მოსაგვარებელი, ტრანსფერის განხორციელებას ცოტაღა უკლიაო.

„რონალდინიოსთან დაკავშირებით ყველაფერი კარგად მიდის. „ბარსელონასთან“ ფინანსური მხარის მოგვარებაღა დაგვრჩა. გამორიცხული არ არის, ანდრეი შევჩენკოც შევიძინოთ, მისი დაბრუნება ბევრს უნდა. მოლაპარაკებებს „ჩელსისთანაც“ ვმართავთ და ვნახოთ, რა გამოვა“ — განაცხადა „როსონერის“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ.



ამას „ინტერის“ მფლობელის მასიმო მორატის კომენტარები მოყვა, ვინც ირწმუნება, ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებულიო...

„უახლოეს დღეებში სერიოზულად ვიმსჯელებთ რონალდინიოს ტრანსფერთან დაკავშირებით. მის წარმომადგენლებთან და „ბარსელონასთან“ ჩინებული ურთიერთობა გვაქვს. ამბობენ, „მილანში“ მისი გადასვლა გადაწყვეტილიაო. თავის საქმეს „როსონერიც“ კარგად აკეთებს, მაგრამ ამ ტრანსფერის ბედი ჩვენს გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული“ — აღნიშნა მორატიმ.

დაბოლოს, მილანური კლუბების გარდა, 28 წლის ბრაზილიელ ვარსკვლავს ბოლო პერიოდში ყველაზე აქტიურად „მანჩესტერ სიტის“ უკავშირებენ...

**კოკი კანდელაკი**

| XXIX ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ჰერტა | : | ჰამბურგი |
| შალკე | : | კოტბუსი |
| ჰანზა | : | ვერდერი |
| ვოლფსბურგი | : | ბოხუმი |
| **ხვალ** | | |
| აინტრახტი | : | ბაიერნი |
| არმინია | : | ლევერკუზენი |
| შტუტგარტი | : | ნიურნბერგი |
| დორტმუნდი | : | ჰანოვერი |
| დუისბურგი | : | კარლსრუე |

# გერმანია

## ბაიერნი აინტრახტს დორტმუნდით აშინებს

**„შალკე“** ორი ახალი მწვრთნელით დაუხვდება „კოტბუსს“, რომელსაც ზედიზედ ოთხჯერ შინ ისე მოუგო, რომ გოლი არ გაუშვია.

„კოტბუსი“ ბუნდესლიგაში დარჩენას ლამობს, ზედიზედ სამ ტურში იმარჯვა და ცხადია, „შალკესაც“ ბრძოლას გაუმართავს.

მასპინძლებს ტრავმის გამო ლევან კობიაშვილი და ივან რაკიტიჩი ვერ დაეხმარებიან.

16 თებერვლის შემდეგ „ჰანზას“ შინ არ მოუგია და ალბათ დღესაც გაუჭირდება ნავსის გატეხვა, რადგან ფორმაში შესულ „ვერდერს“ მასპინძლობს. „მუსიკოსებს“ ტრავმირებული დანიელ იენსენი და უგო ალმეიდა დააკლდებიან, ხოლო მარკუს როზენბერგი დისკვალიფიცირებულია. მის ნაცვლად ძირითად შემადგენლობაში ივან კლასნიჩი ითამაშებს, რომელმაც შაბათს „შალკესთან“ დუბლი შეასრულა.

ბოლო ხანს დასუსტებული „ჰერტა“ და „ჰამბურგი“ ერთმანეთს ბერლინში შეხდებიან. დედაქალაქელებს ექვსი, ჰამბურგელებს კი უკვე ოთხი ტური მოგება არ უგემიათ.

დამხვდურებს რაფაელი, ლუსიო და მთავარმეგოლე მირკო პანტელიჩი ჰყავთ ტრავმირებული, სტუმრებს კი ატუბა, კომპანი და კასტელენი. დისკვალიფიცირებულია „ჰამბურგის“ კაპიტანი რაფაელ ვან დერ ვაარტი და ნახევარმცველი დავიდ იაროლიმი.

„ბოხუმს“ თვენახევარია, არ მოუგია, თუმც ბოლო ექვსი მატჩიდან ხუთში ფრეს მიაღწია და ამის წყალობით მეთერთმეტე საფეხურს უწია. ბუნდესლიგაში ადგილი ჯერ დაბევებული არ აქვს და გასავარდნ ზონას ცხრა ქულა აშორებს. ბოხუმელები დღეს მეორე წრის საუკეთესო გუნდს „ვოლფსბურგს“ ეწვევიან, რომელსაც დასჯილი ფორვარდი გრაფიტე დააკლდება.

სტუმრებს დაშავებული დაბროვსკის, ონოს და ცდებელის გარეშე მოუწევთ თამაში.

წინა ტურში „დორტმუნდის“ გამანადგურებელი (5:0) „ბაიერნი“ ფრანკფურტში ჩაბრძანდება და ჩემპიონობისკენ კიდევ ერთი ნაბიჯის გადადგმას შეეცდება. ოტმარ ჰიცფელდის გუნდს მომავალ კვირა დღეს გერმანიის თასის ფინალში ისევ „დორტმუნდთან“ თამაში ელის.

„აინტრახტი“ კი ის გუნდია, რომელსაც „ბაიერნმა“ ბოლო ორ შეხვედრაში გოლი ვერ გაუტანა, მაგრამ გუშინწინდელივით თუ გაიგიჟა თავი, კარგი დღე არც ფრანკფურტელებს დაადგებათ.

დორტმუნდელებთან მატჩში ოტმარ ჰიცფელდმა რიბერი და კლოზე დაასვენა და შესაძლოა, ხვალაც არ ათამაშოს და მათ ტონიც გვერდით მიუჯდება.

„კიკერის“ ვერსიით, „ბაიერნი“ პოდოლსკით და შლაუდრაფით შეუტევს, ხოლო ნახევარდაცვაში კროოსი, ვან ბომელი, ოტლი და სოსა იქნებიან.

ოლივერ კანი და ჰამით ალთინთოფი ტრავმირებულნი არიან, ხოლო ზე რობერტო დისკვალიფიცირებულია.

ზედიზედ სამი მარცხის შემდეგ „ლევერკუზენი“ გონს მოვიდა და წინა ტურში შინ შტუტგარტს“ მოუგო. „ფარმაცევტებს“ ხვალ ბილეფილდში ბრძოლა მოუწევთ, რადგან „არმინიას“ მეორე ბუნდესლიგაში ჩასვლა არ უნდა და ყოველ ქულას ებღაუჭება.

მასპინძლებს ჰაინენი, მასმანიდისი, რაუ და ფიშერი ჰყავთ დაშავებული, სტუმრებს კი ბერნდ შნაიდერი დააკლდებათ.

„დორტმუნდს“ „ჰანოვერთან“ ბევრი ოფლის ღვრა მოუწევს საიმისოდ, რომ „ბაიერნისგან“ „მიხატული“ 0:5 ჩამოირეცხოს.

2003 წლის შემდეგ დორტმუნდელებს „ჰანოვერი“ შინ არ დაუმარცხებიათ და ესეც დამატებითი სტიმული იქნება თომას დოლის გუნდისთვის.

დამხვდურებს დისკვალიფიცირებული ტინგა ვერ დაეხმარება, ხოლო სტუმრებს არ ეყოლებათ ტრავმირებული ბრუგინკი, ლაუტი, ბალიტჩი და დასჯილი პინტუ.

**ვაჟა ხუციშვილი**

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბაიერნი | | 1:1 | 1:1 | 2:1 | 1:1 | | 2:1 | 0:0 | 2:0 | 3:0 | 3:1 | 5:0 | | 5:0 | 3:0 | 0:0 | | 3:0 | 28 | 17 | 9 | 2 | 52:16 | 60 | 9 | 5 | 0 | 31:6 | 32 | 8 | 4 | 2 | 21:10 | 28 |
| 2 | ვერდერი | 0:4 | | 5:1 | 5:2 | 2:1 | 4:1 | 0:1 | 2:1 | 4:0 | | 1:2 | 2:0 | 3:2 | | 1:0 | 1:2 | 8:1 | 2:0 | 28 | 15 | 5 | 8 | 60:40 | 50 | 11 | 0 | 4 | 40:18 | 33 | 4 | 5 | 4 | 20:22 | 17 |
| 3 | შალკე | 0:1 | 1:1 | | 1:1 | 1:1 | 4:1 | 1:2 | | 0:2 | | 1:0 | 4:1 | 1:0 | | 1:0 | 2:1 | 3:0 | 2:1 | 28 | 13 | 9 | 6 | 42:31 | 48 | 8 | 3 | 3 | 22:12 | 27 | 5 | 6 | 3 | 20:19 | 21 |
| 4 | ლევერკუზენი | 0:1 | | 1:0 | | 1:1 | 3:0 | | 0:2 | 3:0 | 2:0 | 2:0 | 2:2 | | 0:0 | 3:0 | 4:1 | 4:0 | 4:1 | 28 | 14 | 5 | 9 | 50:30 | 47 | 9 | 3 | 2 | 29:8 | 30 | 5 | 2 | 7 | 21:22 | 17 |
| 5 | ჰამბურგი | 1:1 | | | 1:0 | | 4:1 | 2:2 | 4:1 | | 1:1 | 3:0 | 1:0 | 2:1 | 0:0 | 2:0 | 0:1 | 1:1 | 1:0 | 28 | 12 | 11 | 5 | 37:21 | 47 | 8 | 5 | 1 | 23:9 | 29 | 4 | 6 | 4 | 14:12 | 18 |
| 6 | შტუტგარტი | 3:1 | 6:3 | 2:2 | 1:0 | 1:0 | | 3:1 | | 3:1 | 0:2 | 1:0 | 1:2 | 1:3 | 3:0 | 4:1 | 1:0 | | | 28 | 14 | 3 | 11 | 45:43 | 45 | 10 | 1 | 3 | 30:16 | 31 | 4 | 2 | 8 | 15:27 | 14 |
სულ არ გვინდა ამ ოხერი პოლიტიკის ხსენება, მაგრამ რუსებს ჰოკეიში რომ შევხვდეთ, ქართველებისთვის ალბათ ვერც ეს იქნება წმინდა სპორტული დაპირისპირება, რადგან რუსები ალბათ ვერასდროს მოიშლიან ბოლმიანი და ცინიკური ფრაზებით კბენას ეკრანიდან. როგორ უნდა დაიმსახურონ ქართველებისგან, როგორც სპორტული მეტოქეებისგან პატივისცემა, როდესაც ბურთაობაში წაგებულები მუშტების ქნევას დაიწყებენ, მათი კომენტატორი კი ჟურნალისტიკაში დაშვებული უკანასკნელი ფრაზებით გამოგვლანძღავს, „გრუზინებმა“ ბინძურ თამაშში არგენტინელებსაც გადააჭარბესო.

ან სად გვათამაშეს?! თვითონ არ შერცხვათ?

აქამდე ყოველთვის კრასნოდარში მასპინძლობდნენ ყველას და მათ შორის, ქართველ „ლელოებს“, რომელიც ჩრდილოეთ, მაგრამ მაინც კავკასიაშია, ახლა კი ყველამ კარგად ნახეთ, სად გადაიტანეს თამაში — ნამდვილ, თეთრ ჩრდილოეთში, შუაგულ ციმბირში. მართალია, კრასნოიარსკი მათ სარაგბო დედაქალაქია, მაგრამ ზაფხულში, და არა ზამთარში, როცა მოედანზე 30 სანტიმეტრი თოვლი დევს და 0-გრადუსიან ამინდში გადმოთოვაზე ფიქრიც კი სისულელეა (შემდეგ ჯერზე ალბათ ნორილსკშიც „მიგვიწვევენ“).

ან საკუთარი მორაგბეები არ შეეცოდათ? არ შეეცოდათ, რადგან ძალიან ბევრი რამ იდო სასწორზე და ამ თამაშის მოსაგებად ყველაფერი გაიღეს. ყველა ძალა ქართველთა წინააღმდეგ აღმდგარიყო, ამინდით დაწყებული, ჩვენი ძველი დამრიგებლით გაგრძელებული და მსაჯებით დამთავრებული. ფრანკ მასელო უნამუსო იყო, ერთ-ერთ თანამსაჯად კი იდგა რუსი! ოფიციალურად ითქვა, რომ ფრანგმა ხაზის მსაჯმა ტრავმა მიიღო (უფრო კი ჯირკვლები მოეყინა იმ სიცივეში).

და რუსი მორაგბეები? მათ, რა თქმა უნდა, ვერც ამ ჯერზე მოუგეს ქართველებს. ნამარცხევს მათმა დამრტყმელმა იური კუშნარიოვმა ამოთქვა, შემართება გვქონდა, მაგრამ ოსტატობა არ გვეყოო. აგაშენა ღმერთმა, დალილიო რუსო, მაგით უნდა დაიწყოს რაგბიზე საუბარი ყველა შენმა თანამემამულემ. ჩვენც მანდა ვართ, რომ ვერ სჯობიან რუსი მორაგბეები ქართველებს. თუ აჯობებენ, ალალი იყოს, მაგრამ სადღეისოდ ნამდვილად ვერ ჯობნიან, მიუხედავად იმისა, რომ კლოდ სორელის ხელში უფრო მწყობრად და თამამად ათამაშდნენ და ორ წელიწადში ორორჯერ მოუგეს რუმინელებსაც და პორტუგალიელებსაც.

მწყობრ და თამამ რაგბის საქარველო თამაშობს თუ თამაშობს. „ლელოებმა“ აი, ასე შთამბეჭდავი და დაუვიწყარი გამარჯვებით ჩაათამაშეს პირველი საერთათასო სეზონი ავსტრალიელი ტიმ ლეინის ხელში. მიზერული თანხის ფასად (მგონი, თვეში 10 ათასსაც არ იღებს და ნეტა რუსები რამდენს აძლევენ სორელს?) ჩამოყვანილმა ავსტრალიელმა სპეციალისტმა ახალ სიმაღლეზე აიყვანა საქართველოს ეროვნული გუნდი, რომელიც სორელმა შეკრა და ქართველთა ტრიომ მოაფერიანა. კი, გუნდში აღარ არიან ვეტერანები ილო ზედგინიძე, გია ლაბაძე, პალიკო ჯიმშელაძე, ილია მაისურაძე... რუსეთში კი ვერ ჩავიდნენ ირაკლი მაჩხანელი, მალხაზ ურჯუკაშვილი, დავით ზირაქაშვილი, ძმები გიორგაძეები (ცოტაა?), მაგრამ ამით „ლელოებს“ არაფერი დაჰკლებიათ, რადგან კრასნოიარსკში ერთმანეთის მხარდამხარ 22 ქართველი კაცი იდგა და იდგა მართლა ვაჟკაცურად, ბოლომდე! მათი გვარები დაიმახსოვრეთ, ხალხო!

ქართული შემართება და ბრძოლის სურვილი მოჭარბებულად ენთო იმ ციმბირულ ყინვაში და გულს უწვავდა დამხვდურებს.

არა, ბრძოლაც რა ლამაზად გამოგვდის ქართველებს: სულ ბოლოს, რუსთა უკანასკნელი მოძალებისას, უკან დასახევი მეტრიც რომ აღარ იყო, რა ლაზათიანად აიტაცა ქართველმა ფლანკერმა (შალვა სუთიაშვილი იყო თუ სიმონ მაისურაძე) შერკინებიდან გამოსული რუსი რვა ნომერი. აიტაცა და ორი მეტრით აქეთ დასცა! მართლა ნახვად ღირდა! აი, რაში ვჯობივართ რუსებს! აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ მათ, ვთქვათ, კაჭარავასნაირი მობურთალი არ მოეძევებათ. დევკაცია მამუკა გორგოძე, რუსეთში კი არა, ევროპაში რომ აფრთხობს მოწინააღმდეგეებს, მაგრამ ზუსტად ასევე უკანმოუხედავია, ვთქვათ, გარემარბი ირაკლი ჩხიკვაძეც და ისიც უშიშრად გაიწევს დათვივით ზორბა სერგეი გრაჩოვზე, ისევე როგორც ნებისმიერი, ვისაც გულზე ბორჯღალი ანთია. ესაა გამარჯვების პირობა და საწინდარი.

ამ ყველაფერმა მოუტანა საქართველოს 2007-08 წლების ერთა თასი, რომელსაც 26 აპრილს ტურნირის უკანასკნელ თამაშში, ეროვნულზე ესპანეთთან შეხვედრის შემდეგ გადასცემენ ომგამოვლილ ქართველ მორაგბეებს.

26 აპრილს ჩვენ მივდივართ სტადიონზე! თქვენც უნდა იყოთ ეროვნულზე, ეროვნულ საქმეში.

**geo_geo_fan@hotmail.com**

*თქვენი რუბრიკა კვლავ ელის წერილებს, მითუმეტეს საამისო გვარიანი მიზეზიც გვაქვს. მიზეზის შეხსენება უადგილოცაა. ერთი სიტყვით გამოგზავნეთ თქვენი წერილები და „სარბიელი“ მზად არის თქვენი აზრი ჩვენს ფურცლებზე გადაიტანოს*

**LADOSHVELA:** გამარჯობა. წარმომიდგენია, რამდენ წერილს მიიღებთ ამ დღეებში და ისიც წარმომიდგენია, თუ რა პათოსით იქნება ეს წერილები გამსჭვალული და ალბათ ჩემი წერილიც დანარჩენების მსგავსი იქნება... მაგრამ პირველ რიგში მინდა, ჩემი აღფრთოვანება და სიამაყის უდიდესი გრძნობა გამოვხატო ჩვენი ყველაზე მაგარი ბიჭების (იმედია, მოჭიდავეებს არ ეწყინებათ, ბიჭებო მაგრები ხართ!) მორაგბეების მიმართ. არ მინდა ზედმეტი სიტყვებით ლმიტონი ელფერი მივცე ჩემს აზრს და ამიტომ უბრალოდ ვამბობ, მორაგბეებო თქვენ ყველაზე მაგარი ქართველები ხართ დღევანდელ საქართველოში! და ყველამ კარგად იცის, რატომაც. ცალკეულ მომენტებზე არ გავამახვილებ ყურადღებას, ყველაფრისთვის დიდი მადლობა და მუდამ ასე გაგეხარებინოთ ჩვენი და თქვენი გულები. გფარავდეთ უფალი.

**P.S.** ფეხბურთელებო, ხშირად უყურეთ რაგბის და მიხვდებით, ჯიგრის დადება მინდორზე როგორ უნდა.

**geo_geo_fan@hotmail.com**

# კალევის მკვლელი

## ცინცაძემ როკს რეგულარული მოაგებინა

თითქოს პირი შეკრესო, ქართული ლეგიონი ერთობ მიწყნარდა. ზოგს არ ათამაშებენ, ზოგს არდადეგები აქვს, ზოგიც თამაშობს, მაგრამ იმას თამაში კი არა, ბუნტისთავობა უფრო ჰქვია. ერთადერთი, ისევ ესტონეთში ჩაუქობენ ჩვენებურები, რაც მეტ წილად „როკის“ გამთამაშებელ გიორგი ცინცაძეზე ითქმის, ვინაც რეგულარული ჩემპიონატის დასკვნითი 2 შეხვედრა უძლიერესად ჩაატარა და სულაც არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ საპლეიოფოდ სწორედ მან დაუბევა „როკერებს“ საკუთარი მოედნის უპირატესობა



### ესტონეთი

ამ ქვეყნის ჩემპიონატში მოთამაშე ქართველები დიამეტრალურად განსხვავებულ ვითარებაში არიან. გიორგი ცინცაძე ესტონეთის მოქმედი ჩემპიონია და ახლაც პირველობისთვის იბრძვის, ხოლო სერგო ათუაშვილის ტტუ უმაღლეს ლიგაში დარჩენას ცდილობს, თუმცა მდგომარეობა უიმედოა.

გინდა იქიდან მოუარე, გინდა აქედან, ცინცაძეზე სტაბილური ლეგიონერი დღეს საქართველოს არ ჰყავს. თითქმის ყოველ ტურში ამ 22 წლის ბიჭის ქებაში ვართ, ისე ყოჩაღად თამაშობს ის, გინდა ესტონეთის ჩემპიონატში, გინდა ევროთასზე და გინდაც ბალტიის ლიგაზე, საიდანაც „როკერები“ პლეიოფიდან ახლახან გამოვარდნენ. ახლა კი ცინცაძემ მორიგი შოუ მოუწყო თავის მეტოქეებს –– ესტონეთის რეგულარული ჩემპიონატის ბოლო 2 ტურში თავის გუნდს ჯერ ათუაშვილის ტტუ დაამარცხებინა, ხოლო პირველობის მომტან ჯახში კონკურენტ „კალევს“ ლამის პირადად გამოუყვანა წირვა.

საწყისი ტურიდან ლიდერობდა „კალევი“ ესტონურ ლიგას და ისე გაიარა რეგულარული ჩემპიონატი, პირველობა არ დაუთმია. „როკერები“ კუდზე ასხდნენ ტალინელებს, ჩამორჩენას ნელ-ნელა ამცირებდნენ და აი, ბოლო ტურში, როცა სხვაობა ერთი ქულაღა იყო, ეს გუნდები ერთმანეთის პირისპირ დადგნენ. ვინც მოიგებდა, პლეი ოფში ნებისმიერ მეტოქესთან მოედნის უპირატესობას მოიპოვებდა და სწორედ ასეთ პრინციპულ მატჩში ივაჟკაცა ცინცაძემ. მან მთელი 40 წუთი დაჰყო მოედანზე და 23 ქულით მატჩის ბომბარდირი ხომ გახდა და თან 10 პასიც მიითვალა.

მთავარი კი ისაა, რომ გიორგიმ მატჩის ყველაზე საპასუხისმგებლო მომენტში იყოჩაღა და გამარჯვებულის ვინაობა პირადად გამოავლინა. სირენამდე ორიოდ წუთით ადრე მან კამფეტივით პასები ჩამოურიგა თავისიანებს: ჯერ იყო და ჯანერ ტალტსს ჩაატენინა, შემდეგ კი მარეკ დორონინი შეატოვა ფარს და ამანაც ტარტუელთა უპირატესობა 5 ქულამდე გაზარდა. ტალინელებმა კი მიითვალეს ორქულიანი, მაგრამ ცინცაძემ მომდევნო შეტევაშიც იგივე გააკეთა და „როკერებს“ გამარჯვება გაუნაღდა.

რაც შეეხება ბოლოსწინა ტურს, ტტუ-სთან ცინცაძემ სეზონის ერთ-ერთი ყველაზე უხვქულიანი მატჩი ჩაატარა. 31 წუთში მან 28 ქულას მოუყარა თავი, რასაც 4 პასიც მიაბა და „როკს“ უიოლესად, 117:60 გაამარჯვებინა.

ამ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა სერგო ათუაშვილმაც, რომელიც ვერაფერს გახდა. აქამდელ მატჩებში 223-სანტიმეტრიანი ქართველი ერთობ გამორჩეული იყო და 6 მატჩში 3 ორმაგი დუბლიც შეასრულა, მაგრამ საჩემპიონოდ მომართულ „როკთან“ ბევრი ვერაფერი გამოუვიდა. ის მხოლოდ 13 წუთით გამოჩნდა მოედანზე და 4-4 ქულა-მოხსნას დასჯერდა.

### იტალია

როგორც ჩანს, ნიკა ცქიტიშვილისთვის სერია A-ს სეზონი ნაადრევად დასრულდა. მისმა გუნდმა „ტერამომ“ ერთი თვის წინ ამერიკელი შეიმატა, რომელიც მართალია, ცენტრი არაა, მაგრამ არაევროკავშირელებზე დაწესებული ლიმიტი მასზეც ვრცელდება და როცა ის შემადგენლობაშია, ქართველის ადგილი განაცხადში აღარ რჩება. ჰასან ადამსი კი რაც ტერამოელებს შეუერთდა, სულ თამაშობს, ცქიტიშვილი კი, შესაბამისად, უქმადაა.

ეგებ დაინტერესდეთ და „ტერამომ“ გასულ ტურში ლიდერ „სიენასთან“ 63:97 წააგო.

### უკრაინა

მანუჩარ მარკოიშვილიც უქმობს, მაგრამ საშიში არაფერია. სანამ პლეი ოფი დაიწყებოდეს, უკრაინის ჩემპიონატში შესვენებაა და კიეველები სლოვენიაში გადიან წვრთნას. უკრაინის ჩემპიონატი 17 აპრილს განახლდება და მარკოიშვილის გუნდი მეოთხედფინალური სერიის პირველ მატჩში „დნეპრს“ დაუპირისპირდება.

### ესპანეთი

პრინციპული მატჩი მოიგო ტაირონ ელისის „კახასოლმა“ — პრიმერადივიზიონიდან გავარდნის ზღვარზე მყოფმა გუნდმა „მურსია“ დაამარცხა და მდგომარეობა ოდნავ გაიუმჯობესა.

ელისმა მხოლოდ 15 წუთი ითამაშა და 5 ქულას, 3 მოხსნას და 1 პასს დასჯერდა.

### საბერძნეთი

ვლადიმერ ბოისას „არისმა“ აელი 86:81 დაამარცხა და ბერძნული სუპერლიგის მესამე საფეხურზე შემაგრდა. ჩვენიანმა ამ შეხვედრაში 19 წუთი ითამაშა და 8 ქულა, 4 მოხსნა და 2 პასი მიითვალა. რეგულარული ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ტურია დარჩენილი, მერე კი „არისი“ პლეი ოფში ჩაებმება.

### ნბა

ზაზა ფაჩულიას მორიგი ინციდენტი შეემთხვა. მეტოქეებთან მოედანზე მომხდარ ჩხუბებს სათვალავში აღარ ვაგდებთ — ქართველ ცენტრს კონფლიქტები გაუხშირდა თანაგუნდელებთან. სეზონის დასაწყისში იყო, ფაჩულია „ატლანტას“ ერთ-ერთ ლიდერ ჯოშ სმიტს რომ ეჩხუბა გასახდელში, ახლა კი მას სათადარიგო სოლომონ ჯონსთან მოუხდა შეხლა.

ინციდენტი მოხდა 11 აპრილს, „მედისონ სკვერ გარდენში“, როცა „ატლანტა“ „ნიუ იორკთან“ უმნიშვნელოვანესი მატჩის წინ ითელებოდა. გახურებისას მცირე წაკინკლავების შემდეგ ფაჩულია და ჯონსი სათადარიგოთა სკამზე დაბრუნდნენ და იქ შეასკდნენ ერთმანეთს. თანაგუნდელები, ცხადია, შუაში ჩადგნენ და განსაკუთრებით აქტიური ქართველი დააშოშმინეს. დაძაბულობა მაინც იგრძნობოდა და ატლანტელთა დამრიგებელმა მაიკ ვუდსონმა ზაზას უთხრა, ჩაიცვი და გადი აქედანო — ამას იტყობინება espn.com-ის ბლოგერი კრის ბრუსარდი, რომელიც იმასაც აღნიშნავს, რომ გუნდელებს შორის ჩხუბი ნბა-ში უიშვიათესი ამბავია.

ფაჩულიამ მაინც ითამაშა „ნიუ იორკის“ წინააღმდეგ. როგორც ჩანს, მატჩის პრინციპულობიდან გამომდინარე, ვუდსონმა ქართველი სათადარიგოთა სკამზე დააბრუნა და ზაზაც 6 წუთით გამოჩნდა მოედანზე, თუმცა რის გაკეთებას მოასწრებდა...

ამ გამარჯვებით „ატლანტამ“ ოფიციალურად ვერა, მაგრამ ფაქტობრივად კი გაინაღდა პლეი ოფში თამაში.

**ირაკლი პერტაია**

---

ულებ-ის თასი. ოთხთა ფინალი. ტურინი. იტალია. 12-13 აპრილი


ეროვნული ბიბლიოთეკა

### ნახევარფინალები

**ხუვენტუდი** (ესპანეთი) 90:93 **გალათასარაი** (თურქეთი)

**დინამო** (რუსეთი) 78:81 **ხირონა** (ესპანეთი)

### ფინალი

**ხუვენტუდი 79:54 ხირონა**

**ხუვენტუდი:** მალეტი (26), ფერნანდესი (13), მოისო (10)

**ხირონა:** რადენოვიჩი (20), მაკდონალდი (11), გასოლი (9)

# რენესისის რენესანსი

## ულებ-ის ესპანური დერბი ხუვენტუდმა მოიგო

**ულებ-ის** თასს ახალი მფლობელი ჰყავს, ბადალონის „ხუვენტუდი“, რომელმაც ფინალურ მატჩში თანამემამულე „ხირონა“ დაამარცხა და ევროლიგის შემდეგ ევროპის ყველაზე პრესტიჟული ტიტულის მფლობელი გახდა.

საერთოდ, მოსალოდნელი იყო, რომ ულებ-ის თასს ესპანური ფინალი ექნებოდა. „ხუვენტუდი“ და „ხირონა“ მანამდეც ჩაუქობდნენ და როცა ოთხთა ფინალის დანარჩენი ორი მონაწილე გაირკვა, ესპანეთში სიხარულმა დაისადგურა. თურქული „გალათასარაი“ ნახევარფინალში განწირული იყო „ხუვენტუდთან“, აი, მოსკოვის „დინამომ“ კი ბოლო წამამდე ანერვიულა „ხირონა“, თუმცა ფინალის საგზური მაინც ვერ წაართვა — ჰენრი დომენკანტმა სირენის თანხლებით ნასროლი სამქულიანი ააცილა, თორემ რომ ჩაეგდო, თამაში ოვერტაიმში გადავიდოდა.

ფინალურ მატჩს, ისევე როგორც მთლიანად ოთხთა ფინალს, ტურინის „პალაველა არენამ“ უმასპინძლა, თუმც დარბაზში, ცხადია, ესპანელები სჭარბობდნენ, რომელთა ნაწილი „ხირონას“ ქომაგობდა, ნაწილი — „ხუვენტუდს“. ფინალმა არ გაამართლა, რასაც მატჩის ანგარიშიც მოწმობს. ბადალონელებმა 25 ქულით გადაუარეს ხირონელებს.

„ხირონამ“ ისე დაიწყო, ვერავინ იფიქრებდა, რომ ეს გუნდი უიმედოდ წააგებდა. საწყისი მეოთხედი ხირონელებმა 21:16 მოიგეს და პირველი ტაიმის ბოლომდეც უძალიანდებოდნენ მეტოქეს, მაგრამ დიდი შესვენების შემდეგ ბადალონელებმა აიშვეს — დეიმონდ მალეტმა და რუდი ფერნანდესმა რაც გატყორცნეს, თითქმის ყველა ჩააგდეს და გადამწყვეტი მეოთხედის წინ „ხუვენტუდს“ 21-ქულიანი ლიდერობა, ანუ გამარჯვება დაუბევეს.

„კარგად კი დავიწყეთ, მაგრამ მეტოქის ძლიერმა მეფარეებმა თამაშის სცენარი შეცვალეს და უპირატესობა დავკარგეთ“ — თქვა ნამატჩევს ხირონელთა თავკაცმა პედრო მარტინესმა.

რაც შეეხება ბადალონელთა დამრიგებელ გარსია რენესისს, ის აუღელვებლად შეხვდა ამ მოგებას. მისმა გაწვრთნილმა გუნდებმა უკვე მეოთხე ევროტურნირი მოიგეს. რენესისს მწვრთნელის რანგში ულებ-ის თასამდე კორაჩის, საპორტასა და ფიბა-ევროპის თასები მოუგია.

**ირაკლი პერტაია**

---

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

13 აპრილი

**ლეიკერსი 106:85 სან ანტონიო**

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (20), ოდომი (17 ქულა, 14 მოხსნა) გასოლი (14 ქულა, 11 მოხსნა), ფიშერი (14)

**სან ანტონიო:** პარკერი (20), დანკანი (16 ქულა, 12 მოხსნა), ედოკა (14)

**სიეტლი 99:95 დალასი**

**სიეტლი:** უოტსონი (21 ქულა, 10 პასი, 8 მოხსნა), დურანტი (19), კოლისონი (18 ქულა, 11 მოხსნა)

**დალასი:** ნოვიცკი (32), ტერი (25), ჰოვარდი (16)

**კლივლენდი 84:76 მაიამი**

**კლივლენდი:** ვესტი (18), ილგაუსკასი (14 ქულა, 14 მოხსნა), ჯეიმსი (13 ქულა, 11 მოხსნა, 7 პასი)

**მაიამი:** დევისი (17), კუკი (13), ბარლენი (13)

**დენვერი 111:94 ჰიუსტონი**

**დენვერი:** აივერსონი (33), სმიტი (23), კლეიზა (18)

**ჰიუსტონი:** ჰედი (19), მაკგრეიდი (16), ნოვაკი (15)

**ჩიკაგო 84:104 ორლანდო**

**ჩიკაგო:** ნოჩიონი (22), დენგი (19)

**ორლანდო:** თურქოღლუ (24), ჰოვარდი (19), ლუისი (18)

**დეტროიტი 91:84 ტორონტო**

**დეტროიტი:** სტაკი (18), ბილაფსი (14), მაქსველი (14)

**ტორონტო:** ბოში (30 ქულა, 10 მოხსნა), ნესტეროვიჩი (18)

# სარეიტინგო ადი-ჩადი

**გასული** უქმეები დევისის თასისა იყო, ანუ წინა კვირაში კაცთა ტურნირები არ გამართულა და შესაბამისად, ATP-ის რეიტინგებში ცვლილებები არ მომხდარა.

ქალთა კლასიფიკაციებს რაც შეეხება, განთესვის რეიტინგში კვლავაც ათი ქართველია და სამმა მათგანმა კარიერის უმაღლეს წერტილს უწია — სოფო შაფათავამ, ოქსანა კალაშნიკოვამ და მანანა შაფაქიძემ მცირედთ წინ წაიწიეს და საკარიერო რეკორდები დაამყარეს.

| | |
|---|---|
| 186 (0) მაკა ჩახნაშვილი | 163 |
| 296 (-3) ანა ტატიშვილი | 81 |
| 355 (+1) სოფო შაფათავა | 59 |
| 514 (-1) თინა ყავლაშვილი | 31 |
| 592 (+1) ოქსანა კალაშნიკოვა | 22 |
| 597 (+3) მანანა შაფაქიძე | 22 |
| 605 (+3) სალომე დევიძე | 21 |
| 718 (-2) სოფო ქვაცაბაია | 15 |
| 811 (-2) ეკა გორგოძე | 10 |
| 918 (-3) სოფო მელიქიშვილი | 7 |

# ქალები

## განთესვის რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1. ჟუსტინ ენინი (ბელგია) | 6105 |
| 2. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 4157 |
| 3. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 3905 |
| 4. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 3876 |
| 5. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 3770 |
| 6. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 2665 |
| 7. ვინუს უილიამსი (აშშ) | 2586 |
| 8. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 2305 |
| 9. სერენა უილიამსი (აშშ) | 2296 |
| 10. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 2257 |
| 11. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) | 2198 |
| 12. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1915 |
| 13. აგნეს სყავაი (უნგრეთი) | 1558 |
| 14. აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი) | 1458 |
| 15. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 1433 |
| 16. დინარა საფინა (რუსეთი) | 1392 |
| 17. ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) | 1327 |
| 18. შაჰარ პირი (ისრაელი) | 1245 |
| 19. ალიონა ბონდარენკო (უკრაინა) | 1206 |
| 20. ნადია პეტროვა (რუსეთი) | 1192 |

## საჩემპიონო რბოლა

| | |
|---|---|
| 1. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 1950 |
| 2. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 1475 |
| 3. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 1405 |
| 4. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 1110 |
| 5. სერენა უილიამსი (აშშ) | 1025 |
| 6. ჟუსტინ ენინი (ბელგია) | 1000 |
| 7. ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) | 847 |
| 8. დანიელა ჰანტუხოვა (რუსეთი) | 786 |
| 9. აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი) | 742 |
| 10. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 691 |
| 11. ლინდსი დევენპორტი (აშშ) | 625 |
| 12. ვინუს უილიამსი (აშშ) | 566 |
| 13. ნა ლი (ჩინეთი) | 565 |
| 14. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 523 |
| 15. დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკეთი) | 512 |
| 16. ფლავია პენეტა (იტალია) | 496 |
| 17. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 472 |
| 18. ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 465 |
| 19. კაროლინ ვოზნიაკი (დანია) | 445 |
| 20. შაჰარ პირი (ისრაელი) | 430 |


სალომე დევიძე

# სალომეს ბელაია

**საფრანგეთში**, სენტ მალოს თიხნარზე ITF-ის ეგიდით ქალთა 100 000-იანი ტურნირი ტარდება. საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელი მაკა ჩახნაშვილი იქ კვალიფიკანტთა შორის მე-3 ნომრად იყო განთესილი, მაგრამ პირველივე წრეში დამარცხდა. 17 წლისა და რეიტინგის 282-ე საფეხურზე მყოფმა ჩინელმა ქსინ იუნ ჰანმა მაკას შანსი არ დაუტოვა — 6:2 6:2.

25-ათასიანი შეჯიბრი მიმდინარეობს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ფლორიდის შტატის ქალაქ პალმ ბიჩში. ფლორიდულ თიხნარზე ორი ჩვენებური თამაშობს. ანა ტატიშვილი ძირითად ბადეშია, ხოლო სალომე დევიძე საკვალიფიკაციო ეტაპიდან ცდილობს ძირითად ტურნირში მოხვედრას. პირველ წრეში სალომემ 6:3 7:5 სძლია 15 წლის ამერიკელ მარია ბელაიას და ახლა კიდევ ერთ თინეიჯერს, კლასიფიკაციაში 845-ე ადგილზე მყოფ ბრიტანელ ტარა მურს ხვდება, რომელმაც საწყის მატჩში 6:1 6:2 გაანადგურა ამერიკელი ლინდსი სალივანი.

თურქეთის ხმელთაშუაზღვისპირა კურორტ ანთალიას თიხაზე კი 10 000-იანი შეჯიბრი ტარდება, რომლის ძირითად ბადეში სოფო ქვაცაბაიაც არის. კიდევ სამი ჩვენებური საკვალიფიკაციო ეტაპზე იყო და სამივე დამარცხდა. სოფიკო შარანგიამ რუს ინა ხარიტონოვას 6:0 6:2 კი მოუგო, მაგრამ შემდეგ 1:6 1:6 წააგო გერმანელ კატრინ შმიდტთან. ერთი შეხვედრა მოიგო თეონა ცერცვაძემაც, რომელმაც რუს დარია ბიკოდაროვას 6:2 6:0 გადაუარა, თუმც შემდეგ ვერას გახდა გერმანელ ელიზა პეტჰთან — 4:6 1:6. რაც შეეხება სალომე უგრეხელიძეს, მან ერთი გეიმის აღებაც ვერ მოახერხა და პირველივე თამაშში 0:6 0:6 შერცხვა მაკედონიელ ალექსანდრა იოსიფოვსკასთან.

# დევისის თასი. მეოთხედფინალი

## არგენტინას შვედეთი არ ეტკინა

**რუსეთი 3:2 ჩეხეთი**

მარატ საფინი (რუსეთი) — ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) 6:7 4:6 6:3 6:2 6:4
რადეკ შტეპანეკი (ჩეხეთი) — იგორ ანდრეევი (რუსეთი) 6:3 6:2 6:4
ანდრეევი, ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) — შტელანეკი, ლუკაშ დლუჰი (ჩეხეთი) 3:6 6:3 7:5 6:4
დავიდენკო — ბერდიხი 6:3 2:6 6:7 6:3 2:1 (უარი)
დლუჰი — საფინი 6:3 6:3

**არგენტინა 4:1 შვედეთი**

დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) — ტომას იოჰანსონი (შვედეთი) 6:2 5:7 6:4 6:2
რობინ სოდერლინგი (შვედეთი) — ხოსე აკასუსო (არგენტინა) 6:0 6:4 6:1
ნალბანდიანი, გილერმო კანასი (არგენტინა) — იონას ბიორკმანი, რობერტ ლინდშტეტი (შვედეთი) 7:5 6:4 6:4
ნალბანდიანი — სოდერლინგი 6:4 1:6 4:6 6:4 9:7
ხუან მონაკო (არგენტინა) — იოჰანსონი (შვედეთი) 6:3 6:3

**გერმანია 1:4 ესპანეთი**

რაფაელ ნადალი (ესპანეთი) — ნიკლას კიფერი (გერმანია) 7:6 6:0 6:3
დავიდ ფერერი (ესპანეთი) — ფილიპ კოლშრაიბერი (გერმანია) 6:7 6:3 6:4 6:2
ფელიჩიანო ლოპესი, ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) — ფილიპ კოლშრაიბერი, ფილიპ პეტშნერი (ესპანეთი) 6:7 7:6 6:4 2:6 12:10
ვერდასკო — მიხაელ ბერერი (გერმანია) 2:6 7:6 6:4
კიფერი — ლოპესი 6:4 7:6

**აშშ 4:1 საფრანგეთი**

ენდი როდიკი (აშშ) — მიშელ ლოდრა (საფრანგეთი) 6:4 7:6 7:6
ჯეიმს ბლეიკი (აშშ) — პოლ-ანრი მატიო (საფრანგეთი) 7:6 6:7 6:3 3:6 7:5
არნო კლემანი, ლოდრა (საფრანგეთი) — ბობ ბრაიანი, მაიკ ბრაიანი (აშშ) 6:7 7:5 6:3 6:4
როდიკი — მატიო 6:2 6:3 6:2
ბლეიკი — რიშარ გასკე (საფრანგეთი) 6:7 6:4 6:4


დავიდ ნალბანდიანი

**არცთუ** საინტერესოდ წარიმართა დევისის თასის მეოთხედფინალები, რომლებშიც იმ ოთხი იღბლიანის ვინაობა გაირკვა, რომლებიც წლის მეორე ნახევარში 2008 წლის საუკეთესო ნაკრების ტიტულისთვის იომებენ.

მოქმედი ჩემპიონების ჩაუქობით დავიწყოთ — საკმაოდ მოულოდნელად, აშშ-ს ნაკრები ადვილად გაუმკლავდა საფრანგეთს. იანკები ფავორიტებად კი ითვლებოდნენ, მაგრამ ასე იოლად თუ გაუვიდოდნენ ფონს, ვინ იფიქრებდა. გალებმა ხომ ოკეანისგაღმეთში ძლიერი შემადგენლობა წაიყვანეს და მასპინძლებს სერიოზულ ჯახსაც ჰპირდებოდნენ. თუმც ფრანგთა გამოცდილ კაპიტან გი ფორჟეს ყველა გეგმა აეწეწა, რადგანაც ზედ თამაშის წინ ტრავმები მიიღეს ლიდერებმა — რიშარ გასკემ და ჟო-ვილფრედ ცონგამ. მიშელ ლოდრა და პოლ-ანრი მატიო კი, მათდამი დიდი პატივისცემის მიუხედავად, ენდი როდიკისა და ჯეიმს ბლეიკის კალიბრის მეჩოგნეები ნაღდად არ არიან, მით უმეტეს, ჰარდზე. ჰოდა, ამერიკელებს საქმე ერთიორად გაუადვილდათ და მათ ბედის ამ საჩუქრით კარგად ისარგებლეს.

არ გასჭირვებიათ ესპანელებსაც, რომლებმაც პირველ ორ სათამაშო დღეს მოუთავეს საქმე გერმანელებს. რაფაელ ნადალის წინამძღოლობით პირინეელებმა შანსიც კი არ მისცეს მასპინძლებს და ახლა სასექტემბროდ ილესავენ კბილებს, როცა აშშ-ს უმასპინძლებენ. ნადალსა და კომპანიას კარგად ახსოვთ იანკებთან შარშანდელი მარცხი, როცა ამერიკელები ჰარდზე დაუხვდნენ და ამის ხარჯზე გადაუარეს. ესპანელებიც ასეთივე მასპინძლობას გეგმავენ და როდიკსა და ბლეიკს მათთვის საძულველ გრუნტს უმზადებენ.

ზედიზედ მეორედ გაუმართლათ რუსებს, რომლებმაც ისევ მეტოქის ლიდერის ტრავმის წყალობით იხეირეს. მოგეხსენებათ, ორიოდ თვის წინ ისინი სერბებს დიდწილად იმიტომ გასცდნენ, რომ ნოვაკ ჯოკოვიჩი ავად იყო და ამის გამო ჯერ ერთი მატჩი გამოტოვა, შემდეგ კი კორტზე გასულმა შეხვედრა ველარ ჩაამთავრა. ახლაც, მასპინძლებმა ტომაშ ბერდიხის ტრავმით იხეირეს. არადა, ჩეხთა ლიდერს ნიკოლაი დავიდენკოსთან მეხუთე სეტში ბრეიკი ჰქონდა გაკეთებული და მოგების შემთხვევაში ანგარიშს ათანაბრებდა, რის შემდეგაც ყველაფერი მეხუთე მატჩში უნდა გარკვეულიყო. თუმც ბერდიხმა ფეხი იღრძო და თამაში ველარ დაამთავრა, რუსებმა კი ზედიზედ მეოთხედ უწიეს დევისის თასის ნახევარფინალს.

თუმც საეჭვოა, ჩვენს ჩრდილოელ მეზობლებს ისევ გაუღიმოს იღბალმა, რადგანაც მათ არგენტინაში მოუწევთ სტუმრობა. გიჟმაჟი პატაგონიელებით გავსებული ტრიბუნების წინ თამაში კი რამდენად საძნელო საქმეა, შვედებმა ამ უქმეებზე საკუთარ ტყავზე გამოსცადეს და რაც მოიმკეს, თავად ხედავთ — ყოველთვის ბოლომდე მებრძოლმა ვიკინგებმა მხოლოდ ერთი ქულა აართვეს სამხრეთამერიკელებს.

**ჭაჰა ლომაჩვილი**

**ამელია აილენდი. აშშ ფინალი**

მარია შარაპოვა (1, რუსეთი) — დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკეთი) 7:6 6:3

# თიხის მაშა

**კარიერის** საუკეთესო სეზონს ატარებს მარია შარაპოვა. წლის დასაწყისიდან მოყოლებული, რუსი პრიმა დიდებულად გამოიყურება და, ეტყობა, აღებული ტემპის დაგდებას არც აპირებს. მაშამ უკვე მოიგო ავსტრალიის ღია პირველობა და ძალიან წარმომადგენლობითი ტურნირი დოჰაში, რასაც კვირას გვიან ღამით თავისი პირველი საგრუნტო ტიტულიც მიაყოლა.

საერთოდ, თიხნარზე ხეირიანად თამაში შარაპოვას არასდროს გამოსდიოდა და ამისთვის ბევრი საყვედურობდა კიდეც. თუმც მაშა ნელ-ნელა გაუთავისდა ამ თავისთვის საძულველ საფარსაც და მართალია, აქამდე განსაკუთრებული არაფერი გაუკეთებია, მაინც აშკარად პროგრესირებდა. თუნდაც ის რად ღირს, რომ რუსმა შარშან „როლან გაროსის" ნახევარფინალს უწია. მართალია, იქ ანა ივანოვიჩთან განადგურდა, მაგრამ წინა წლებთან შედარებით აშკარად რომ მოუმატა, ფაქტია.

როცა ამ სეზონის დასაწყისში მაშამ გამოაცხადა, წლეულს ფრანგულ სლემტურნირზე მოსაგებად ვიბრძოლებო, მისი ეს განცხადება სერიოზულად ალბათ არავინ მიიღო. მაგრამ, ეტყობა, შარაპოვა სულაც არ ხუმრობდა, რადგანაც თიხნარზე სულ უფრო დამაჯერებლად გამოიყურება და არც ამ საფარისთვის ჩვეულ მომქანცველ გათამაშებებს ერიდება.

„რა თქმა უნდა, ეს ტიტული ჩემთვის ბევრს ნიშნავს. ამით სხვებს, უპირველესად კი საკუთარ თავს, დავუმტკიცე, რომ თიხნარზე მოგება შემიძლია. რა თქმა უნდა, მოსამატებელი კიდევ ბევრი მაქვს, მაგრამ მთავარია, რომ ნავსი უკვე გავტეხე" — განაცხადა ნამატჩევს შარაპოვამ.

ცალკე აღნიშვნის ღირსია რუსის მეტოქე ფინალში დომინიკა ციბულკოვა, რომელმაც კარიერის პირველი ფინალი ითამაშა. თინეიჯერი სლოვაკი ტურნირიდან ტურნირამდე უმატებს და აღარანაირ ავტორიტეტს აღარ უფრთხის — ქალთა ჩოგბურთს მისი სახით უეჭველად კიდევ ერთი ამომავალი ვარსკვლავი შეეძინა.

**ჭაჰა ლომაჩვილი**

## ჩემპიონთა ლიგა. კაცები

### ნახევარფინალი. საპასუხო მატჩები

**ბარსელონა 44:37 კილი**

*პირველი მატჩი 31:41*

**ჰამბურგი 32:26 სიუდადი**

*პირველი მატჩი 27:34*



ვიდ კავიჩნიკის „კილი“ „ბარსელონას“ გადაახტა

# ესპანეთი და გერმანია ერთი-ერთზე დარჩნენ

**ხელბურთის** ჩემპიონთა ლიგას შემორჩენილმა ოთხმა გრანდმა ფინალისტების ვინაობა გამოავლინა. პირველი დაპირისპირებების მერვევე ცხადი იყო, რომ „ჰამბურგს“ და „ბარსელონას“ დიდი ოფლის ღვრა დასჭირდებოდათ ფინალში გასასვლელად, რადგან პირველი მატჩები გვარიანი ხვაობით ჰქონდათ წაგებული. საპასუხო თამაშები მასპინძლებმა კი მოიგეს, მაგრამ ეს ანგარიშები საკმარისი არ გამოდგა. „ჰამბურგს“ „სიუდადის“ დაჩოქებაში ჰანსი 8, ლინდბერგი 7 და გილენი 6 გოლით შეეშველნენ. მადრიდელებს 8 ბურთი სტეფან სოსმა მოუნაგრა, 6 კი — რუტენკამ.

„კილს“, ვინც შარშანდელი ტრიუმფატორია, კარაბატიჩის 10 გოლი არაფრად გაუხდა, თუმც საეჭვოა, გერმანელები წაგებას დიდად ნაღვლობდნენ, რაკილა უკვე ფინალში არიან. კატალონიელებს კი ფერნანდესის 10 და ხარკეს 9 ზუსტი დარტყმა წყალში ჩაეყარათ. „კილი“ და „სიუდადი“ ლიგის გამარჯვებულს ორრაუნდიან დუელში გაარკვევენ.

**ლექსო მაისურაძე**



**ჰაილენდერზი 17:19 შარკსი**

**კრუზეიდერზი 31:6 ლაიონზი**

**ბლუზი 11:16 ბრამბიზი**

**ფორსი 12:17 ვარათაზი**

**შტორმერზი 34:22 ჩიტაზი**

**ბულზი 22:50 ჰარიკანზი**

## ზე-14 2008

# ჯვაროსნებთან ლომებიც დაეცნენ



**დენ კარტერის,** რიჩი მაკქოუს, ლეონ მაკდონალდის გარეშე მოთამაშე „კრუზეიდერზმა“ კრაისტჩერჩში მაინც წააქცია სამხრეთაფრიკული „ლაიონზი“. ახალზელანდიურმა გრანდმა 4 უპასუხო ლელო გაუტანა მომხვდურთ და დაამტკიცა, რომ ძირითადი ვარსკვლავების გარეშეც ყველაზე მაგარია. შეხვედრა ცხრილში მაჩანჩალა „ლომების“ დომინირებით დაიწყო. თავიდან თითქოს რაგბის ღმერთმა სასწორი აურიაო, პირველი ტაიმის ნახევარი სტუმრებმა ომში და ქულათა უპირატესობაში ჩაამთავრეს. „ლაიონზი“ 6:3 იგებდა და ასეთი დასაწყისის შემხედვარე „კრუზეიდერზის“ ფანობა ჩაჩუმდა. მატჩის დასასრულს საწყისი ძლევამოსილება სამხრეთაფრიკელებმა უზომო თავგანწირვას და დიდ შემართებას მიაწერეს. „კლასი ბოლომდე არ გაგვყვა, ჩვენ ტიტანებს ვაჟკაცურად ვეომეთ, მაგრამ დავმარცხდით“ — თქვა ერთ-ერთმა ლაიონზელმა. შეხვედრაში გარდატეხა „ჯვაროსნების“ 9 ნომერმა ენდრიუ ელისმა შეიტანა. მან შეხვედრა მძლავრად მოქაჩა თამაშის სადავეები და 180 გრადუსით შემოაბრუნა. ელისმა ავანტიურული თამაშით, გამსხლტომ-გამძრომი მოძრაობებით და ჭკვიანური პასებით ჩრდილილა დატოვა სტუმართა დაცვისგან და ბოლო ლელოც თავად ჩააჭედა მოწინააღმდეგის ჩათვლის მოედანზე. აღსანიშნავია მასპინძელთა სათადარიგო 10 ნომრის ჰემიშ გარდის კარგი რაგბობაც. გარდმა 2 გარდასახვას და 2 საჯარიმოს მოუყარა თავი.

ბეწვზე გამექცა დამარცხებას დურბანული „შარკსი“. გასვლაზე „ჰაილენდერზთან“. ჯეიმს უილსონს შეხვედრის დასრულებიდან 5 წუთით ადრე ჯარიმა რომ გაეტანა, ალბათ იმ საღამოს გამარჯვებული სხვა გუნდი იქნებოდა. სათქმელია, რომ აშკარად მიზანი გაუცუდდათ „ზვიგენთა“ ჩუბინებს — ფრანს შტეინსა და რუან პინარს. მათ ერთობლივ ანგარიშზე 5 არაზუსტი საჯარიმოა.

**ზურაბ მიგრიაული**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| კრუზეიდერზი | 8 | 8 | 0 | 0 | +200 | 6 | 38 |
| შარკსი | 8 | 7 | 1 | 0 | +50 | 1 | 31 |
| ჰარიკანზი | 8 | 5 | 1 | 2 | +49 | 4 | 26 |
| ვარათაზი | 8 | 6 | 0 | 2 | +27 | 2 | 26 |
| ბლუზი | 9 | 5 | 0 | 4 | +55 | 5 | 25 |
| ფორსი | 9 | 5 | 0 | 4 | -11 | 4 | 24 |
| შტორმერზი | 8 | 4 | 0 | 4 | +21 | 7 | 23 |
| ჩიფსი | 8 | 5 | 0 | 3 | +3 | 3 | 23 |
| ბრამბიზი | 8 | 4 | 0 | 4 | -20 | 4 | 20 |
| რედზი | 8 | 2 | 1 | 5 | -44 | 2 | 12 |
| ჰაილენდერზი | 8 | 1 | 0 | 7 | -31 | 7 | 11 |
| ჩიტაზი | 9 | 1 | 0 | 8 | -83 | 6 | 10 |
| ბულზი | 9 | 2 | 0 | 7 | -107 | 2 | 10 |
| ლაიონზი | 8 | 1 | 1 | 6 | -109 | 1 | 7 |



# ლონდონური ლელი

**წესიერ** ქვეყნებში ბევრ დიდრონ ქალაქს უქცევია ქუჩებში მარათონის გამართვა ტრადიციად, მაგრამ დონით ლონდონის მარათონთან ბევრი როდი მივა. ბრიტანეთის დედაქალაქში ყოველთვის ათეულობით ათასი მორბენალი იყრის თავს და გამორჩენილთა სიჭარბითაც სჯობს სხვა ქალაქებს.

კვირას ჩატარებული გარბენი განსაკუთრებით ხარისხიანი გამოვიდა. რეკორდი არ დამყარებულა, თუმც გამარჯვებულმა აჩვენა ყველა დროის მეოთხე შედეგი, მეორე და მესამე ადგილოსნებმა კი შესაბამისად მეექვსე და მეშვიდე უსწრაფეს შედეგებს გამოჰკრეს ხელი. თანაც ეს იყო ყველა დროის ერთ-ერთი უსწრაფესი მარათონი და რომ არა ინგლისური ამინდის მცირედი ჭირვეულობა, იქნებ ჰაილე გებრსელასიეს შარშანდელი მსოფლიო რეკორდიც დამხობილიყო.

გამარჯვებით კი შარშანდელმა ჩემპიონმა კენიელმა მარტინ ლელმა იმარჯვა, ვისაც 2005 წელსაც ყველასთვის უჯობნია ლონდონის ქუჩებში და მესამე გამარჯვებით შევიდა ამ მრავლისმნახველი ქალაქის სპორტის ისტორიაში.

ორგანიზატორები წლეულს საგანგებოდ მოემზადნენ, რადგან 1908 წლის ოლიმპიადის და ქალაქში პირველი მარათონული გარბენის 100 წლისთავზე საქმის მიფუჩეჩების უფლებას როგორ მისცემდნენ თავს (ან კი როდის მიუფუჩეჩებიათ). გრილოდა და 11 გრადუს სითბოში თითქმის იდეალური პირობები იყო შექმნილი, ამიტომაც ფავორიტებმა თავიანთ პეისმეიკერებს ასეთი პირობა დაუდეს — დისტანციის ნახევარი (21 კილომეტრი) საათის და ორნახევარი წუთის ფარგლებში უნდა გაირბინოთო. მათაც თავიდანვე ისეთი ტემპი აიღეს, ხალხმა იფიქრა, ვინმეს გული გაუჩერდება და ჩვენს ქუჩებზე სირბილში მოკვდებაო, მაგრამ ყველაფერი მშვენივრად მიდიოდა. პეისმეიკერებმა გზის ნახევარი 62 წუთსა და 14 წამშიც კი გაირბინეს და მაყურებლებმა ფიქრი, ორგანიზატორებმა კი ოცნება დაიწყეს, არიქა რეკორდი ცხვებაო. მოლიდერე ჯგუფს არც მერე შესტყობია დაღლა, პეისმეიკერებიც დაახლოებით 30 კილომეტრამდე მიჰყვნენ გამარჯვებისთვის ჩასაფრებულებს და მერელა მოსწყდნენ. დარჩა ოთხი კაცი, რომელთა შორის უკვე აღარ იყვნენ ყოჩაღი კენიელი ფელიქს ლიმო და სამხრეთაფრიკელი ჰენდრიკ რამაალა. დარჩნენ კენიელები — სემი ვანჯირუ, მარტინ ლელი, მაროკოელი აბდერაჰიმ გუმრი და ეთიოპიელი დერიბა მერგა. ძლიერი ჯგუფური იყო და რეკორდზე შეტევაც შეიძლებოდა, მით უფრო, რომ გებრსელასიეს სარეკორდო განრიგს 7 წამით უსწრებდნენ.





მაგრამ რეკორდზე ოცნება 30-ე კილომეტრის გალევის შემდეგ ჩაიფუშა, რადგან მოწინავეები ქალაქის ქუჩებიდან სანაპიროზე, ცნობილ დოკებთან გამოვიდნენ და მდინარე ტემზიდან მონაბერმა საგრძნობმა პირქარმა რეკორდზე ოცნება ყველას გაუცამტვერა. 35 კილომეტრის შემდეგ მერგა მოსწყდა, ვესტმინსტერისკენ დაძრულმა სამეულმა კი ერთმანეთში უსასტიკესი ბრძოლა გააჩაღა და ეს სწრაფი ძუნძული ბოლო ორ კილომეტრზე თითქმის სპრინტად იქცა. ყველაზე მეტი გამძლეობა ისევ ძველ ჩემპიონ ლელს აღმოაჩნდა, ვინაც ფინიში სტარტიდან 2 საათში, 5 წუთსა და 15 წამში გადაკვეთა, თავად ლონდონის მარათონის რეკორდი დაამყარა და ყველა დროის მეოთხე შედეგი აჩვენა ჰაილე გებრსელასიეს, პოლ ტერგატისა და სამი კორირის სუპერშედეგების შემდეგ. მეორე იყო მისი თანამემამულე ვანჯირუ (2:15.24), მაროკოელმა გუმრიმ კი შარშანდელ მეორე ადგილს წლეულს მესამე მიაყოლა 2:05.30 შედეგით.

**ივანე ძოზიაშვილი**



# ხორხე ლორენცოს პირველი სამეფო

**პირველ** ეტაპზე პოული და მეორე ადგილი, მეორე ეტაპზე ისევ პოული და მესამე ადგილი და მესამე ეტაპზე, რომელიც გასულ უქმეებზე პორტუგალიურ ეშტორილში ჩატარდა, ზედიზედ მესამე პოული და მესამე პოდიუმი, ოღონდაც, ამ პოდიუმის კენწერო, ანუ გამარჯვება — აი, ასე დაიწყო ესპანელი ხორხე ლორენცოს კარიერა „სამეფო“, ანუ მოტოჯიპის კლასში და 250-იანებში მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონი „სამეფო“ კლასშიც ამტკიცებს თავის ძალასა და ნიჭს.

და, არა მარტო ლორენცო. ისევე, როგორც წინა ორ ეტაპზე, პოდიუმზე ამჯერადაც ორი ესპანელი იდგა — ლორენცოს გვერდი ისევ დანიელ პედროსამ დაუმშვენა და ეს ორი ესპანელი გენერალურ კლასიფიკაციაშიც წყვილად ლიდერობს.

პორტუგალიაში მესამე იყო და საერთო ჩათვლაშიც მესამე ადგილზეა მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი, იტალიელი ვალენტინო როსი, რომელმაც ლორენცოსა და პედროსას დავაში ჩარევა ვერ მოახერხა, მაგრამ დანარჩენები ახლოს არ გაიკარა.

რაც შეეხება მსოფლიოს შარშანდელ ჩემპიონს, ავსტრალიელ კეისი სტოუნერს, მან პირველ ეტაპზე გამარჯვების შემდეგ ესპანურ-პორტუგალიური ეტაპები ჩააგდო და გენერალურ კლასიფიკაციაში მეოთხე ადგილამდე დაიხია. ეშტორილში სტოუნერს კვალიფიკაციისას მოეცარა ხელი, როდესაც ოდენ მე-11 შედეგი აჩვენა და რბოლაში მხოლოდ ხუთი პოზიციის მოგება მოახერხა, ანუ ფინიშს მეექვსემ უწია.

„საშუალო“, ანუ 250-იანთა კლასშიც ესპანელმა, კერძოდ კი ალვარო ბატისტამ იმარჯვა. საერთო ჩათვლაში ფინელი მიკა კალიო დაწინაურდა, რომელმაც ეშტორილში მესამე შედეგი აჩვენა და ძველი ლიდერის, იტალიელი მატიო პაზინის უქულოდ დარჩენით ისარგებლა.

„უმცროს“ კლასში კი იტალიელი სიმონე კორსი ლიდერობს. ეშტორილში კორსიმ წამის მეათედებით აჯობა ესპანელ ხუან ოლივეს, 59 ქულა მოაგროვა და უახლოეს მდევარს, კიდევ ერთ ესპანელ ნიკოლას ტეროლს მთელი 17 ქულით გაასწრო.

**ბაჩა ლომაძე**

**მსოფლიოს ჩემპიონატი საგზატკეცილო-წრიულ მოტორბოლაში**
**III ეტაპი. ეშტორილი. პორტუგალია. 13 აპრილი**

**მოტოჯიპი (28 წრე)**

| | |
|---|---|
| 1. ხორხე ლორენცო (ესპანეთი, „იამაჰა“) | 45 წთ 53,089 წმ |
| 2. დანიელ პედროსა (ესპანეთი, „ჰონდა) | 45.54,906 |
| 3. ვალენტინო როსი (იტალია, „იამაჰა“) | 46.05,812 |
| 4. კოლინ ედვარდსი (აშშ, „იამაჰა“) | 46.10,312 |
| 5. ჯონ ჰოპკინსი (აშშ, „კავაზაკი“) | 46.16,841 |

**საერთო ჩათვლა:** 1-2. ლორენცო და პედროსა 61-61 ქულა; 3. როსი 47; 4. კეისი სტოუნერი (ავსტრალია, „დუკატი“) 40; 5. ჯეიმს ტოსელანდი (ბრიტანეთი, „იამაჰა“) 29

**250 კბ.სმ (26 წრე)**

| | |
|---|---|
| 1. ალვარო ბატისტა (ესპანეთი, „აპრილია“) | 44 წთ 34,257 წმ |
| 2. მარკო სიმონჩელი (იტალია, „გილერა“) | 44.41,307 |
| 3. მიკა კალიო (ფინეთი, KTM) | 44.41,320 |
| 4. ტომაშ ლუტჰი (შვეიცარია, „აპრილია“) | 44.47,255 |
| 5. ჰიროში აოიამა (იაპონია, KTM) | 44.48,923 |

**საერთო ჩათვლა:** 1. კალიო 57 ქულა; 2. მატიო პაზინი (იტალია, „აპრილია“) 45; 3. ექტორ ბარბერა (ესპანეთი, „აპრილია“) 39; 4. იუკი ტაკაჰაში (იაპონია, „ჰონდა“) 37; 5. ბატისტა 35

**125 კბ.სმ (23 წრე)**

| | |
|---|---|
| 1. სიმონე კორსი (იტალია, „აპრილია“) | 40 წთ 56,168 წმ |
| 2. ხუან ოლივე (ესპანეთი, „დერბი“) | 40.56,467 |
| 3. ნიკოლას ტეროლი (ესპანეთი, „აპრილია“) | 41.02,523 |
| 4. სტივ ბონსაი (აშშ, „აპრილია“) | 41.11,141 |
| 5. დანიელ ვები (ბრიტანეთი, „აპრილია“) | 41.11,700 |

**საერთო ჩათვლა:** 1. კორსი 59 ქულა; 2. ტეროლი 42; 3. ოლივე 40; 4. შტეფან ბრადლი (გერმანია, „აპრილია“) 37; 5. სერხიო გადეა (ესპანეთი, „აპრილია“) 32



## რეგულარული ჩემპიონატი

13 აპრილი

**ვაშინგტონი 0:2 ფილადელფია**
*0:2 0:0 0:0*
*სერიაში ანგარიშია 1:1*
0:1 ამბერგერი (6, კობურნი), 0:2 კარტერი (16, ნობლი)

**ბოსტონი 2:1 მონრეალი**
*1:0 0:1 0:0 1:0 (ოვერტაიმში)*
*სერია მონრეალს მიჰყავს 2:1*
1:0 ლუჩიჩი (7, სავარი, სტიუარტი), 1:1 კოსტოპულოსი (25, სმოლინსკი, ბეგინი), 2:1 სავარი (70, შეფერი, ვიდემანი)

**რეინჯერსი 3:4 ნიუ ჯერსი**
*1:1 1:1 1:0 0:1 (ოვერტაიმში)*
*სერია რეინჯერს მიჰყავს 2:1*
0:1 ბრილინი (4, ეშემი, რაპი), 1:1 დუბინსკი (13, იაგრი, სტრაკა), 2:1 ჟივერი (27, უმრ. გომესი, იაგრი), 2:2 ელიაში (33, უმრ. უასისტენტოდ), 2:3 პარიზე (40, უმრ. ლანგენბრუნერი, მარტინი), 3:3 დუბინსკი (41, ურმ. სტრაკა, იაგრი), 3:4 მადენი (67, უასისტენტოდ)

**კალგარი 4:3 სან ხოსე**
*1:3 1:0 2:0*
*სერია კალგარის მიჰყავს 2:1*
0:1 კლოუ (2, უმრ. ტორნტონი), 0:2 მარლო (4, კლოუ, პაველსკი), 0:3 მიურეი (4, ჩიჩუ), 1:3 იგინლა (14, უმრ. ფანაფი, ოკოინი), 2:3 ლენგკოუ (31, უმრ. იგინლა, ნოლანი), 3:3 ფანაფი (41, ჰუსელიუსი, ნოლანი), 4:3 ნოლანი (57, ტანგეი, სარიჩი)

# ზვიგენის ჭკუა ალში ჩაიწვა

**„კალგარიმ“** გუშინ მინი-სასწაული ჩაიდინა, როცა „სან ხოსეს“ სამგოლიანი დეფიციტი აღმოუფხვრა და ძალიან დიდი ფსიქოლოგიური უპირატესობაც მოიპოვა. კალიფორნიულმა გუნდმა კი, რომელიც სტენლის თასის ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად მოიხსენიებოდა, კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ საპლეიოფო გუნდი არაა. „ზვიგენებმა“ ვერაფრით ვერ ისწავლეს, რომ სათასო მატჩებში ბრძოლა ბოლო წამამდე გრძელდება და აქ მოშვება არაფრით არ შეიძლება. უკანასკნელი ორი პლეიოფიდანაც „სან ხოსე“ სწორედ ასეთი უპასუხისმგებლობის გამო გავარდა, მაგრამ რონ უილსონმა თავის გუნდს ჭკუა მაინც ვერ ასწავლა.

„ალებს“ ბრძოლისუნარიანობისთვის კი მხოლოდ ქება და ქება ეკუთვნით. არადა, როცა პირველ სამწუთნახევარში „სან ხოსემ“ სამჯერ დალაშქრა მიკა კიპრუსოფის კარი, ალბათ თავად „კალგარის“ ჰოკეისტებსაც ნაკლებად სჯეროდათ, რომ ამ მატჩის შემოტრიალებას შეძლებდნენ. მაგრამ ნჰლში ყველაფრის მნახველმა მაიკ კინენმა კიპრუსოფი გამოცდილი კერტის ჯოზეფით შეცვალა და თავის ბიჭებს ტემპის მომატება უბრძანა, რამაც გაამართლა კიდეც — ჯოზეფმა კარი საიმედოდ ჩაკეტა, „ალებმა“ კი კაპიტან ჯერომ იგინლას წინამძღოლობით ყინულზე ქარიშხალი დაატრიალეს და „ზვიგენებს“ ბასრი კბილები სათითაოდ ჩაუმსხვრიეს.

სხვა წყვილებიდან კი „ბოსტონის“ გამარჯვება გამოვყოთ, რომელმაც ამ სეზონში ზედიზედ წაგებული 10 მატჩის შემდეგ მაინც მოუძებნა სისუსტეები „მონრეალს“ და სერიაში ჩამორჩენა შეამცირა. „დათვებმა“ ოვერტაიმში იხეირეს, როცა ლიგის ერთ-ერთმა საუკეთესო გამთამაშებელმა მარკ სავარმა პასების ჩამორიგებას თავი ანება და სნაიპერობა იკისრა.

სახლში წაგებული ორი მატჩის შემდეგ იყოჩაღა „ნიუ ჯერსიმაც“. „ეშმაკებმა“ ასევე მხოლოდ ოვერტაიმში მოარჯულეს „რეინჯერსი“ და მათი ფანტასტიკურად მოთამაშე შვედი კიპერი ჰენრიკ ლუნდკვისტი. ისე, „ეშმაკებს“ მაგრად გაუმართლათ, რადგანაც გამარჯვების გოლისას ჯონ მადენის გასროლილს მასპინძელთა ახალბედა მცველმა მარკ სტაალმა უხერხულად დაუხვედრა ფეხი და შაიბა მხოლოდ ამის შემდეგ შევარდა ლუნდკვისტის კარებში.

მოედნის უპირატესობა მოიპოვა „ფილადელფიამ“, როცა ვაშინგტონში იხეირა და სერიაში ანგარიში გაათანაბრა. პირველი მატჩისგან განსხვავებით, „მფრინავებმა“ ამჯერად მთლიანად გამოთიშეს თამაშიდან ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი და სნაიპერი ალექსანდრ ოვეჩკინი, რომლის გარეშეც „ვაშინგტონს“ შეტევაში საერთოდ არაფერი გამოუვიდა.

**ბაჩა ლომაშვილი**



კერტის ჯოზეფმა „კალგარის“ მოაგებინა



# ქართველები მოკლე წყალში

**მოცურავეთა** მოკლე წყლის მსოფლიოს მე-9 ჩემპიონატზე ორმა ქართველმა, ირაკლი რევიშვილმა და გიორგი მწყრალაშვილმაც გაცურა. მანჩესტერის 25 მეტრიან აუზში გამართულ ჩემპიონატში ირაკლი რევიშვილმა 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში 15.55.75 წუთი აჩვენა და მე-17 ადგილს დასჯერდა. 400 მეტრის დაფარვას ასევე თავისუფალში 4.00.27 მოანდომა და 30-ე იყო. გიორგი მწყრალაშვილმა 100 მეტრზე კომპლექსური სტილით ცურვაში 1.00.71 წუთი და 43-ე შედეგი აჩვენა. 200 მეტრ თავისუფალში მწყრალაშვილმა 2.00.16 წუთში გადაცურა და 61-ე იყო.

**ლევან მაისურაძე**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge